

სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

თამარ ამირხანოვი

**განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები ოტია იოსელიანის
შემოქმედებაში**

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე
ქართველური ენათმეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი მარიამ კობერიძე

გორი

2019

ანოტაცია

წარმოდგენილი ნაშრომი ემყარება განკერძოებული სიტყვებისა და გამოთქმების კვლევას ოტია იოსელიანის შემოქმედებაში, სადაც ამ საკითხთან დაკავშირებით, საკმაოდ მრავალფეროვანი საილუსტრაციო მაგალითები დასტურდება.

როგორც ცნობილია, მწერლის ენის კვლევა ყოველთვის აქტუალურია ენათმეცნიერული თვალსაზრისით. წინამდებარე ნაშრომის მეცნიერულ სიახლეს განაპირობებს ის ფაქტი, რომ ოტია იოსელიანის შემოქმედების ამ მიმართულებით კვლევა არ ჩატარებულა. თუმცა, მწერლის ენისადმი ინტერესი ყოველთვის იყო. ვფიქრობთ, რომ წინამდებარე ნაშრომი და მასში ასახული მასალა გარკვეულ დახმარებას გაუწევს ოტია იოსელიანის ენისა და სტილის საკითხების შესწავლით დაინტერესებულ პირებს.

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს ოტია იოსელიანის შემოქმედებიდან (რომანებიდან, მოთხრობებიდან, პიესებიდან) განკერძოებული სიტყვებისა და გამოთქმების მოპოვებას, აღწერას, კლასიფიკაციასა და ენათმეცნიერულ ანალიზს.

აღწერითი და შედარებითი მეთოდის გამოყენებით, შემდგომში დაგვარად, გავანალიზებთ მწერლის შემოქმედებიდან მოპოვებული მასალა. გამოვყავით განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები: განსაზღვრება, გარემოება, დანართი, მიმართვა, ჩართული, შორისდებული, მიგებითი ნაწილაკები. გავარკვიებთ, რა ადგილი უჭირავს მათ მწერლის შემოქმედებაში; რას გამოხატავენ და რა ფუნქცია აკისრიათ წინადადებაში. ასევე, კვლევის შედეგად დავადგინებთ, სად გვხვდება ამ ტიპის სიტყვები ყველაზე ხშირად, მწერლისა თუ პერსონაჟის მეტყველებაში.

Annotation

Isolated words and expressions in Otia Ioseliani's creativity

The presented work is based on the research of isolated words and expressions in Otia Ioseliani's creativity, where regarding this issue, quite a variety illustrative examples are confirmed.

As it is known, the study of the language of the writer is always relevant to the linguistic point of view. The scientific novelty of the present work is based on the fact that the study of Otia Ioseliani's creativity was not conducted in this direction. However, interest in the writer's language was always there. We think that the present work and the material outlined in it will help the persons interested in studying the issues of the language and style of Otia Ioseliani.

The present work aims to obtain, list, classify and linguistic analysis of isolated words and expressions from Otia Ioseliani's creativity (novels, stories, plays).

Using the descriptive and comparative method, we have analyzed the material obtained from the writer's creativity as far as possible. We separated isolated words and expressions: attribution, circumstance, attachment, apply, parenthesis, interjection, response particles. We found out what place they have in the writer's creativity; what they express and what function they have in the sentence. Also, as a result of the research, we found out where these types of words are most frequently used in the speech of the writer or character.

შინაარსი

შესავალი.....	5
თავი I. განკერძოებული სიტყვებისა და გამოთქმების შესწავლისათვის ქართულში.....	8
1.1. განკერძოების რაობისათვის.....	8
1.2. განკერძოებული სიტყვებისა და გამოთქმების კლასიფიკაცია ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში	9
თავი II. წინადადების წევრების განკერძოება ოტია იოსელიანის შემოქმედებაში	12
2.1. განკერძოებული განსაზღვრება.....	12
2.2. განკერძოებული გარემოება.....	16
2.3. დანართი	26
თავი III. წინადადებასთან გრამატიკულად დაუკავშირებელი სიტყვა - გამოთქმების განკერძოება ოტია იოსელიანის შემოქმედებაში	32
3.1. მიმართვა.....	32
3.2. ჩართული	41
3.3. შორისდებული.....	47
3.4. მიგებითი ნაწილაკები.....	52
დასკვნა.....	56
გამოყენებული ლიტერატურა	61

შესავალი

ოტია იოსელიანის აზრით, „ენაა ერის სისხლი, ჯიში და ჯილაგი. წარმომავლობა, რაც ისტორიას დაავიწყდა, ენას ახსოვს. ერები რომ გადაშენდნენ, მათი ენა ცოცხლობს. ენა მკვდარი ერების ძეგლია“ (იოსელიანი, 2006: 35). სწორედ ამიტომ აქვს მწერლის ენისა და სტილის შესწავლას დიდი ადგილი დათმობილი ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში. უფრო მეტიც, ამ საკითხის კვლევა მწერლის შემოქმედებაში, ენობრივი თვალსაზრისით, ძალიან მნიშვნელოვან და საინტერესო მასალას იძლევა.

წინამდებარე ნაშრომი ეხება ოტია იოსელიანის შემოქმედების კვლევას, კერძოდ კი, თუ რა ადგილი უკავია განკერძოებულ სიტყვებსა და გამოთქმებს მის შემოქმედებაში.

გამოჩენილი მწერალი „ოტია იოსელიანი XX საუკუნის ქართული მხატვრული სიტყვის კლასიკოსია, თავისი მრავალფეროვანი, მკითხველზე ორიენტირებული თხზულებებით არა მარტო გაამდიდრა მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობა, იმერეთიდან დანახული სიცოცხლის ხალისი გადადო არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მაშინდელი დედამიწის მეექვსედს, ევროპის თეატრის სცენებს, კინოხელოვნებას და ამდენად, უკვდავებაც მოიპოვა“ (მიქაძე, 2015: 41).

სწორედ მწერლის ენის ასეთი ღირებულება განაპირობებს ოტია იოსელიანის სამწერლო ენისა და პერსონაჟის მეტყველების კვლევის მნიშვნელობას და ამავე დროს, წინამდებარე ნაშრომის აქტუალურობას.

მწერლის შემოქმედების ენობრივი ანალიზი, როგორც ბ. ჯორბენაძე მიუთითებს, აუცილებელ პირობად ვარაუდობს ორი უმთავრესი მომენტის გარკვევას: 1. „რას აძლევს მწერალი ენას, ანუ: როგორ და რით ამდიდრებს იგი ენას; 2. რას აძლევს ენა მწერალს“ (ჯორბენაძე, 1983: 28). ოტია იოსელიანი ენას აძლევს შესანიშნავ შემოქმედებას, მასში ასახული არა ერთი საინტერესო სიტყვით; ლიტერატურას - „სულიერ საზრდოს“, ხოლო ენათმეცნიერებს - კვლევის საგანს. ენას ამდიდრებს თავის შემოქმედებაში გამოყენებული დიალექტიზმებით. ასევე, განკერძოებული სიტყვებითა და გამოთქმებით ენა მეტ სიძლიერესა და მრავალფეროვნებას იძენს. ენა კი ოტია იოსელიანს საშუალებას აძლევს გამოიყენოს ლექსიკური ფონდის მრავალფეროვანი

მასალა და შექმნას უკვდავი ნაწარმოებები, რომლებიც დროს გაუძლებს და მათზე თაობები ისაუბრებენ.

ამდენად, წინამდებარე **ნაშრომის მიზანია** ოტია იოსელიანის შემოქმედებიდან განკერძოებული სიტყვებისა და გამოთქმების მოპოვება, აღნუსხვა, კლასიფიკაცია და ენათმეცნიერული ანალიზი. ასევე, იმის დადგენა, თუ რა ადგილი უჭირავს განკერძოებულ სიტყვებსა და გამოთქმებს მწერლის შემოქმედებაში; რა მიზნითაა გამოყენებული ამ ტიპის სიტყვები და რა გავლენას ახდენს ეს ფაქტი მწერლის სტილზე.

ზემოთ აღნიშნული თვალსაზრისებიდან და ნაშრომის მიზნიდან გამომდინარე, დავისახეთ შემდეგი **ამოცანები**: ოტია იოსელიანის შემოქმედებიდან განკერძოებული სიტყვებისა და გამოთქმების მოძიება, აღნუსხვა, დალაგება და გაანალიზება ენობრივი თვალსაზრისით; გავარკვიოთ, რამდენად ხშირად იყენებს მათ მწერალი; რას გამოხატავენ და რა ფუნქცია აკისრიათ წინადადებაში; სად გვხვდება ისინი ყველაზე ხშირად, მწერლისა თუ პერსონაჟის მეტყველებაში.

კვლევის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე გამოვიყენეთ **აღწერითი და შედარებითი მეთოდები**. აღწერითი მეთოდის საშუალებით მოვიძიეთ საჭირო საილუსტრაციო მაგალითები ოტია იოსელიანის შემოქმედებიდან. განვიხილეთ მწერლის რომანები, მოთხრობები, ნოველები, პიესები, საბავშვო მოთხრობები. შედარებითი მეთოდის გამოყენებით კი ერთმანეთს შევადარეთ საბავშვო ნაწარმოებები, რომანები და პიესები, მათში გამოყენებული განკერძოებული სიტყვები რაგვარობის მიხედვით. ასევე, შევადარეთ პერსონაჟისა და ავტორის მეტყველება, იმის გასარკვევად, თუ სად გვხვდება ყველაზე ხშირად განკერძოებული სიტყვები. ნაშრომში გამოვავლინეთ განკერძოებული სიტყვებისა და გამოთქმების დიალექტური ფორმებიც. კერძოდ, მიმართვა წარმოდგენილია იმ ბრუნვის ფორმით, როგორითაც არ არის მიღებული თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში.

ამავე დროს, წინამდებარე ნაშრომის მეცნიერულ სიახლეს განაპირობებს ის ფაქტი, რომ ოტია იოსელიანის შემოქმედების ამ მიმართულებით კვლევა არ ჩატარებულა. თუმცა, მწერლის ენისადმი ინტერესი ყოველთვის იყო და არის. ამას მოწმობს მანანა მიქაძის ნაშრომი, „დიალექტიზმების ადგილისათვის ოტია იოსელიანის თხზულებათა ენაში“ (მიქაძე, 2015) და თამილა ზვიადაძის წიგნი „მწერლის ენის

საკითხები“ (ზვიადაძე, 2009), სადაც განხილულია ოტია იოსელიანის ლექსიკა. ასევე, განკერძოებულ სიტყვებსა და გამოთქმებზეც კვლევა არც ისე ხშირია ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში. გ. შალაბერიძეს წიგნში „ილია ჭავჭავაძის ენა“ განხილული აქვს განკერძოებული სიტყვები ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში. ასევე, ნ. ცქიტიშვილს გამოკვლეული აქვს: განკერძოებული განსაზღვრება, - „განკერძოებული განსაზღვრების ერთი სტილისტიკური ფუნქციისათვის“ (ცქიტიშვილი, 1981), „დანართის ძირითადი სტილისტიკური ფუნქციები და მართლწერასთან დაკავშირებული ზოგი საკითხი“ (ცქიტიშვილი, 1983), „ჩართული“ (ცქიტიშვილი, 1988), „ჩართულთა ხმარება ილიას პუბლიცისტურ წერილებში“ (ცქიტიშვილი, 1989). წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილი მაგალითები, ოტია იოსელიანის შემოქმედებიდან, ჩვენ მიერ არის მოძიებული და დალაგებული.

ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა: ნაშრომი შედგება შესავლის, სამი თავის, დასკვნისა და გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურის ნუსხისაგან.

შესავალში დასაბუთებულია, თუ რა მნიშვნელობა აქვს ენას მწერლისათვის და რამდენად საჭიროა ენათმეცნიერული თვალსაზრისით ოტია იოსელიანის შემოქმედებაში განკერძოებული სიტყვებისა და გამოთქმების შესწავლა. ხაზგასმულია კვლევის აქტუალურობა, მიზნები და ამოცანები, მეცნიერული სიახლე.

I თავში გააანალიზებულია განკერძოებული სიტყვებისა და გამოთქმების შესწავლის საკითხი ქართულში (განკერძოების რაობისათვის, განკერძოებული სიტყვებისა და გამოთქმების კლასიფიკაცია ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში).

II თავი „წინადადების წევრების განკერძოება ოტია იოსელიანის შემოქმედებაში“ წარმოდგენილია **3** ქვეთემით (განკერძოებული განსაზღვრება, განკერძოებული გარემოება, დანართი).

III თავი „წინადადებასთან გრამატიკულად დაუკავშირებელი სიტყვა - გამოთქმების განკერძოება ოტია იოსელიანის შემოქმედებაში“ შედგება **4** ქვეთემისგან (მიმართვა, ჩართული, შორისდებული, მიგებითი ნაწილაკები).

დასკვნაში მოცემულია კვლევის შედეგები.

თავი I. განკერძოებული სიტყვებისა და გამოთქმების

შესწავლისათვის ქართულში

1.1. განკერძოების რაობისათვის

განკერძოების რაობასთან დაკავშირებით, საენათმეცნიერო ლიტერატურაში, სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. ლეო კვაჭაძის განმარტებით, „წინადადების შემადგენლობაში ხშირად მოიპოვება აზრობლივად და ინტონაციურად გამოყოფილი წევრები, რომლებიც იძლევიან დამატებით ცნობას ამა თუ იმ წევრის შესახებ. ამ მოვლენას განკერძოება ჰქვია, ხოლო წევრებს - განკერძოებული“ (კვაჭაძე, 1988: 261). მაგალითისთვის მოვიყვანთ წინადადებას ოტია იოსელიანის შემოქმედებიდან:

1. „თეთრმიწა ნიადაგიანი იყო მათი ეზო, მოუსავლიანი, მწირი“ (იოსელიანი, 1989: 29). მოცემულ წინადადებაში გვაქვს განკერძოებული განსაზღვრება (მოუსავლიანი, მწირი).
2. „გაღმა, კლდის წაწვეტებულ შვერილზე, პარაშუტი ეკიდა“ (იოსელიანი, 1982: 43). ამ წინადადებაში განკერძოებულია ადგილის გარემოება (კლდის წაწვეტებულ შვერილზე).

შ. კეკელიას და აკ. დავითიანის აზრით, „განკერძოებულ სიტყვა-გამოთქმებს მეტყველებისათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვთ. მეტად მრავალფეროვანია მათი ფუნქცია, მათ შეუძლიათ დააზუსტონ, კონკრეტული სახე მისცენ წინადადების ამა თუ იმ წევრს, გარკვეული ლოგიკური, ემოციური თუ მოდალური ელფერი მიანიჭონ წინადადებით გამოხატულ აზრს და სხვ“ (კეკელია, დავითიანი, 1981: 315).

გ. კვარაცხელიას განკერძოებულ სიტყვებსა და გამოთქმებთან დაკავშირებით ასეთი მოსაზრება აქვს: „მათი გამოყენება სამეცნიერო სტილში, ერთი მხრივ, უკავშირდება თვისების, მოვლენის, პროცესის და ა. შ. დეტალიზაციას, დაზუსტებას, ხაზგასმას და, რაც მთავარია, სიცხადისა და არაორაზროვნების მოთხოვნას, მეორე მხრივ იმის გადმოცემას, თუ როგორ უყურებს კომუნიკატორი წინადადებაში გამოხატულ აზრს, თვით გამოთქმის ფორმას, აგრეთვე გამოხატავს წყაროზე მითითებას“ (კვარაცხელია, 1990: 104).

ჟ. ფეიქრიშვილი მიიჩნევს, რომ წინადადების წევრთა „განკერძოებისათვის მნიშვნელოვანია შემდეგი პირობები:

1. სიტყვათა რიგი ანუ წყობა (ჩვეულებრივ ინვერსიულია);
2. წინადადების წევრის მიმყოლი სიტყვებით გავრცობის ხარისხი;
3. აზრობრივი მიმართება ერთი წევრისა მეორისადმი“ (ფეიქრიშვილი, 1996: 199).

აქვე განმარტავს, „ერთი და იგივე სიტყვა ერთ შემთხვევაში წინადადების ჩვეულებრივი წევრია, მაგრამ თუ მას ადგილს შევუცვლით, განკერძოებული გახდება“ (ფეიქრიშვილი, 1996: 199). მაგალითად, ოტია იოსელიანის შემოქმედებიდან გვაქვს შემდეგი წინადადება: „კეთილშობილი ბიჭი იყო, ალალი და გულსაწყალი“ (იოსელიანი, 1989: 196). მოცემულ წინადადებაში განკერძოებული განსაზღვრებებია: ალალი, გულსაწყალი. თუ ამ სიტყვებს წინადადებაში ადგილს შევუცვლით, განკერძოება მოიშლება და მივიღებთ ასეთი სახის წინადადებას: კეთილშობილი, ალალი და გულსაწყალი ბიჭი იყო. გ. შალამბერიძის მოსაზრებით, „განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების ნაცვლად განკერძოებული განსაზღვრების გამოყენება ამოკლებს წინადადებას“ (შალამბერიძე, 1966: 147-148). ამდენად, მოცემულ წინადადებაში და მსგავს შემთხვევებში, განკერძოებული განსაზღვრების გამოყენება ხელს უწყობს აზრის ლაკონიურად გამოხატვას.

როგორც ლ. კვაჭაძე აღნიშნავს, „განკერძოება ზოგჯერ იმითაა გამოწვეული, რომ თავიდან იქნეს აცდენილი ამა თუ იმ წევრის იმ სიტყვასთან დაკავშირება, რომელთანაც იგი არ შედის სიტყვათა შეკავშირებაში“ (კვაჭაძე, 1988: 264).

ამდენად, წინადადებაში შემავალ სიტყვათა განკერძოება, თავისი სტილისტიკური ფუნქციიდან გამომდინარე, ძალიან მნიშვნელოვანი და საჭიროა.

1.2. განკერძოებული სიტყვებისა და გამოთქმების კლასიფიკაცია ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში

ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში განკერძოებული სიტყვებისა და გამოთქმების კლასიფიკაციის შესახებ ჩამოყალიბებულ მოსაზრებას ვხვდებით ლეო

კვაჭაძის „თანამედროვე ქართული ენის სინტაქსში.“ მისი განმარტებით, „განკერძოება ვიწრო მნიშვნელობით ეხება მხოლოდ არამთავარ წევრებს: **განსაზღვრებას, უბრალო დამატებასა და გარემოებას**. მაგრამ წინადადებაში აზრობლივად და ინტონაციურად ხშირად გამოიყოფა ისეთი სიტყვები, რომლებიც ამა თუ იმ წევრის (მთავრისა თუ არამთავრის) დაზუსტებასა და ახსნა-განმარტებას გვაძლევენ“ (კვაჭაძე, 1988: 261). ამის შესაბამისად, განკერძოებულ სიტყვებსა და გამოთქმებს ორ ჯგუფად ჰყოფს: 1. წინადადების წევრთა განკერძოება; ამ ჯგუფში განხილულია: განკერძოებული განსაზღვრება, განკერძოებული დანართი, განკერძოებული გარემოება, განკერძოებული (დამაზუსტებელი) შემასმენელი; 2. წინადადებასთან გრამატიკულად დაუკავშირებელი სიტყვა-გამოთქმები, რომელიც მოიცავს მიმართვას, ჩართულს, შორისდებულსა და მიგებით ნაწილაკებს (კვაჭაძე, 1988: 261-304).

ა. კიზირია განკერძოებულ სიტყვებსა და გამოთქმებს ორ ჯგუფად ჰყოფს: 1. განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები; რომელშიც ერთიანდება: განკერძოებული განსაზღვრება, განკერძოებული ადგილის გარემოება, განკერძოებული დროის გარემოება, განკერძოებული ვითარების გარემოება, დანართი. 2. წინადადებასთან გრამატიკულად დაუკავშირებელი სიტყვები და გამოთქმები. მასში გამოიყოფა: მიმართვა, შორისდებული, მიგებითი ნაწილაკები, ჩართული სიტყვები და წინადადებები (კიზირია, 1974: 232-238).

ლეო კვაჭაძისა და ანტონ კიზირიას მოსაზრებისგან განსხვავებით, შ. კეკელია და აკ. დავითიანი მიიჩნევენ, რომ „განკერძოებული სიტყვა-გამოთქმები თავიანთი სემანტიკურ-სტილური და წინადადებასთან კავშირის თავისებურებათა მიხედვით შეიძლება დავყოთ სამ ჯგუფად: 1. „წინადადების განკერძოებული წევრები (განკერძოებული განსაზღვრება); 2. წინადადების დანართი წევრები (დანართი, განკერძოებული გარემოება); 3. წინადადებასთან გრამატიკულად დაუკავშირებელი სიტყვა-გამოთქმები (მიმართვა, შორისდებული, მიგებითი ნაწილაკები, ჩართული)“ (კეკელია, დავითიანი, 1981: 315).

ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში არსებულ მოსაზრებებს, განკერძოებული სიტყვებისა და გამოთქმების კლასიფიკაციასთან დაკავშირებით,

ვიზიარებთ, გავითვალისწინებთ ჩვენს ნაშრომში „განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები ოტია იოსელიანის შემოქმედებაში“ და განვიხილავთ შესაბამისად.

თავი II. წინადადების წევრების განკერძოება ოტია იოსელიანის შემოქმედებაში

2.1. განკერძოებული განსაზღვრება

ლეო კვაჭაძის განმარტებით, „განკერძოებულია განსაზღვრება, რომელიც წინადადებაში გამოყოფილია ინტონაციურად, აზრობლივადაც უფრო დამოუკიდებელია, ვიდრე ჩვეულებრივი, განუკერძოებელი განსაზღვრება“ (კვაჭაძე, 1988: 265).

ოტია იოსელიანი აქტიურად იყენებს განკერძოებულ განსაზღვრებას წინადადებათა აგების დროს. განკერძოებული განსაზღვრება მწერლის შემოქმედებაში, უმეტესად გადმოიცემა მიმღეობითა და ზედსართავი სახელით. ამავე დროს, „ზედსართავი სახელი ერთ-ერთი კომპონენტია იმ მრავალსახოვან საშუალებათა შორის, რომელთაც მიმართვას მწერალი ეპოქის ან სხვადასხვა კოლორიტის შესაქმნელად“ (ე. კოშორიძე, 2005: 150).

ჩვენ მიერ მოძიებულ მაგალითებში ერთ საზღვრულთან ხშირად რამდენიმე ერთგვარი განკერძოებული განსაზღვრებაა, რომელიც შეერთებულია როგორც კავშირით, ისე უკავშიროდ.

უკავშირო შეერთების მაგალითებია:

1. „ერთს თითქმის ულვაშიც ისეთივე ჰქონდა- **თხელი, ახლად აშლილი**“ (იოსელიანი, 1965: 76).
2. „მთლიანად გეთანხმები, მაგრამ ადამიანური სიმართლე ხომ ფართო უნდა იყოს, **ღრმა, გააზრებული, გამიზნული**, დიდი სიმართლისათვის, არსის სიმართლისათვის“ (იოსელიანი, III, 2011: 88).
3. „ვერ ვიტყვი გარეთ ძალდი არ გაიგდებოდა – მეთქი, მაგრამ უყმური დღე იყო, **ქიჟმატი, ნაცრისფერი, უსულგულო...**“ (იოსელიანი, 1989: 152).
4. „სისო უმცროსი იყო, **ნაბოლარა**, მთლად ბოვში“ (იოსელიანი, 1982: 413).

კავშირიანი შეერთების მაგალითებია:

1. „ერთი გამხდარი იყო, **ძვალი და ტყავი, ჩამოხეულ-ჩამოკონკილი...**“ (იოსელიანი, IV, 2011: 181).

2. „რამდენად კაცის მოდგმა წელგაურეცხავი ზარმაცია, ნებიერი და ცულლუბი, იმდენად ძლიერი და ყოვლისმქმნელია“ (ოსელიანი, 1989: 91).

3. „სიყვარული მოკრძალებულია, გაუბედავი და მორცხვი“ (ოსელიანი, III, 2011: 105).

მწერლის შემოქმედებაში განკერძოებული განსაზღვრება გადმოცემულია როგორც ზედსართავი სახელით, მაგ.: „მე, სიცხიანი, გულს შიგნით ვიღიმებოდი...“ (ოსელიანი, 1965: 192), ასევე - მიმღეობით. მაგ.: „ადამიანი კი ძლებს, ძლებს, როგორ უხეშადაც არ უნდა მოექცე, ძლებს მშიერ-მწყურვალი, შეურაცხყოფილი და შეგინებული“ (ოსელიანი, 1982: 73).

ოტია ოსელიანის შემოქმედებაში განკერძოებული განსაზღვრება უმეტესად ახლავს:

ა) **ქვემდებარეს:**

1. „ერთი მოგრძო კუნძული, ნაპირებდასილულ-დაშლამული, მხოლოდ შეყვითლებული ბალახით იყო დაფარული...“ (ოსელიანი, 1979: 462).

2. „ვითომ ყველაფერი ცივი ჩანდა, უსიცოცხლო, მაგრამ არა უპატრონო“ (ოსელიანი, 1989: 249).

ბ) **შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილს:**

1. „...ფრონტი დიდია, უკიდევანო, იქ ერთი კაცი წვეთია ზღვაში, მაგრამ დაჭრილებიც ხომ ერთი და ორი არაა...“ (ოსელიანი, 1979: 148).

2. „შურისძიება ფრთხილია, ჩასაფრებული, მოდარაჯე, ნემსის ყუნწში გამძვრომი და ნემსში მახათის გამძვრენი“ (ოსელიანი, III, 2011: 13).

3. „მისი ფიქრი სამყაროა, უკიდევანო სამყარო“ (ოსელიანი, 1965: 279).

4. „ორმოს გვერდით ხე დგას, ცალ მკლავს შემოაწვდენს კაცი, მაგრამ თელაა, მაგარი, ღონიერი, ბომბები ზედ რომ დაეცეს, ფესვებიანად მაინც ვერ ამოგლეჯს“ (ოსელიანი, 1979: 476).

ლეო კვაჭაძე მიიჩნევს, რომ „განკერძოებული განსაზღვრება ყველა ბრუნვაში გვხვდება, მაგრამ ჩვეულებრივ იგი სახელობითში, მოთხრობითში, მიცემითსა და წოდებითში დასმულ სახელებს ახლავს“ (კვაჭაძე, 1988: 268). თუმცა, ჩვენ მიერ მოძიებულ მაგალითებში, განკერძოებული განსაზღვრება დგას სახელობითსა და წოდებით ბრუნვაში.

მწერლის შემოქმედებაში განკერძოებული განსაზღვრება უმეტესად გადმოცემულია მიმღეობითა და ზედსართავი სახელით. მაგალითად:

1. „ვფიქრობ, მერცხლები გადაფრენის დროს იღუპებიან, **ჰაერში ფრთაგამლილი**“ (იოსელიანი, III, 2011: 294).
2. „მეორე თუ მესამე დღეს სახლში ცოლის მკვიდრი ბიძაშვილი დახვდა, **ხანში შესული**, მაგრამ ლამაზი ცოლით“ (იოსელიანი, 1965: 70).
3. „იგი, **ჩემგან ზურგშექცეული**, ორივე ხელით ფესოში თხრიდა საქონლისაგან გადაპუტულ ბალახს“ (იოსელიანი, 1965: 340).
4. „ხარჯიხვი, **ცივი ნიავისაკენ პირმიქცეული**, უძრავად იდგა“ (იოსელიანი, 1981: 6).
5. „თავჯდომარეს ერასტი ერქვა, დინჯი კაცი იყო, **თავგალუნული**, ცოტას ლაპარაკობდა, მომჭირნედ, სიტყვა არ გამიუფასურდესო“ (იოსელიანი, 1981: 107).
6. „მოდოდა ეს, **მოვარდისფრო ჩლიქებზე შეწვიპული**, შეხნიერებული ჯიხვი ზურგზე გადაწყობილი მოშვილდული რქებით...“ (იოსელიანი, III, 2011: 276).
7. „მესამე, **ახლად რქებატოტილი**, ცისფერთვალემა ირემი კი ტბას მისგდომოდა და ცივი, ანკარა წყლით იგრილებდა პირს“ (იოსელიანი, 1971: 96).
8. „ჩვენებური იყო, **ნაცრისფერი**, მოკლე კისერი ჰქონდა და შავი დრუნჩი...“ (იოსელიანი, 1965: 29).

ჩვენ მიერ მოძიებულ მაგალითებში გვაქვს ისეთი შემთხვევები, როცა განკერძოებულია რამდენიმე მომდევნო ატრიბუტული განსაზღვრება. მაგალითად:

1. „სახლში უმცროსი იყო, **ჩემი ხნის, სიტყვაძვირი**, მაგრამ უაღრესად გულკეთილი და ჯანიანი ბიჭი“ (იოსელიანი, 1965: 188).
2. „სახრე მინდა, **კარგი, გრძელი და მოქნილი**, წანწალა წკნელია საჭირო“ (იოსელიანი, 1989: 100)
3. „ვხედავ, ტყავებში გახვეული დათვის ბელებივით ბავშვები გამორბიან, **ხელეზგაწვდილნი და აღტაცებულნი**“ (იოსელიანი, IV, 2011: 249).

აღნიშნულ მაგალითებში განკერძოებული განსაზღვრება გვხვდება, როგორც მწერლის, ასევე პერსონაჟის მეტყველებაში. მწერლის მეტყველებაში ყველაზე ხშირად გვხვდება ავტობიოგრაფიულ ნოველებსა და ასევე, მოთხრობებში „მუხლზე დაწერილი ბარათები“, სადაც ავტორი პირველი პირით გვესაუბრება. მაგალითად: **მწერლის**

მეტყველებაში: „ყველა მწერალი, დიდი თუ პატარა, თავის თავს, თავის ცხოვრებას წერს“ (იოსელიანი, 1989: 7). **პერსონაჟის მეტყველებაში:** „ერთი მოგრძო კუნძული, ნაპირებდასილულ-დაშლამული, მხოლოდ შეყვითლებული ბალახით იყო დაფარული...“ (იოსელიანი, 1979: 462).

როგორც საენათმეცნიერო ლიტერატურაშია შენიშნული, „განკერძოებული განსაზღვრება, წინადადებაში გამოიყოფა მძიმით, ორწერტილით ან ტირეთი (ტირეებით) არის. იშვიათად კი - ფრჩხილებშია ჩასმული“ (ფეიქრიშვილი, 1996: 207). როგორც ზემოთ აღნიშნული მაგალითებიდან ჩანს, ოტია იოსელიანი იცავს მართლწერის ამ წესს. მისი დაცვა ძალიან საჭირო და მნიშვნელოვანია. მითუმეტეს, რომ „ნებისმიერი სახელით გამოხატულ წევრთან განკერძოებული განსაზღვრების კონტაქტურ პოზიციაში ყოფნისას ყოველგვარი სტილისტიკური უხერხულობა იხსნება, თუ განკერძოებული განსაზღვრება, წესისამებრ, მძიმეებით არის გამოყოფილი წინადადების სხვა წევრებისაგან“ (ცქიტიშვილი, 1981: 247).

ამდენად, განკერძოებული განსაზღვრება ოტია იოსელიანის შემოქმედებაში მრავალფეროვანია. გვხვდება როგორც პერსონაჟის, ასევე ავტორის მეტყველებაში. ძირითადად გადმოიცემა ზედსართავი სახელითა და მიმღობით; უმეტესად ახლავს ქვემდებარესა და შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილს. რამდენიმე ატრიბუტული განსაზღვრება შეერთებულია როგორც კავშირით, ისე უკავშიროდ. განკერძოებული განსაზღვრება, ჩვენ მიერ მოძიებულ მაგალითებში, გვხვდება სახელობითსა და წოდებით ბრუნვებში. სხვა ბრუნვის ფორმით არ დასტურდება. იოსელიანის შემოქმედებაში განკერძოებული განსაზღვრების მიზანია: შეამოკლოს წინადადება და სათქმელი გახადოს უფრო სხარტი და შთამბეჭდავი. მწერალს დიალექტური სიტყვების (მოვარდისფრო ჩლიქებზე შეწვიპული, კერასთან ჩაჩოქილი, ახლად რქებატოტილი...) საშუალებით იმერული კოლორიტის სურნელება შემოაქვს თავის ნაწარმოებებში, რითაც მკითხველს ხიბლავს.

2.2. განკერძოებული გარემოება

ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში „გარემოების განკერძოება გულისხმობს ისეთ შემთხვევას, როცა ერთი გარემოება მიემართება სხვა (წინა) გარემოებას და აზუსტებს მის მნიშვნელობას (ფეიქრიშვილი, 1996: 207). მაგალითად: „უკვე მზე ამოდიოდა და შორს, დევის ხევში, სროლის ხმა არ წყდებოდა“ (იოსელიანი, 1982: 26). მოცემულ წინადადებაში განკერძოებული გარემოებაა - დევის ხევში, რომელიც აზუსტებს წინა გარემოებას (შორს).

როგორც ცნობილია, „თუ წინადადებიდან ჩვეულებრივ გარემოებას ამოვიღებთ, მაშინ მის ადგილს დაიჭერს განკერძოებული გარემოება და განკერძოებაც მოიშლება“ (ფეიქრიშვილი, 1996: 208). ამის შესაბამისად, ჩვენ მიერ დასახელებული წინადადება ასეთ სახეს მიიღებს: უკვე მზე ამოდიოდა დევის ხევში, სროლის ხმა არ წყდებოდა.

ოტია იოსელიანის შემოქმედებაში გვხვდება განკერძოებული გარემოების შემდეგი სახეები: ადგილის, დროის და ვითარების გარემოების განკერძოება.

ა) **განკერძოებული ადგილის გარემოება** მრავალფეროვანია მწერლის შემოქმედებაში. ის უფრო ხშირად გვხვდება, ვიდრე გარემოების განკერძოების სხვა სახე. მას სხვადასხვა ფუნქცია აკისრია წინადადებაში და ამასთანავე, ახლავს სტილისტური ელფერი. ჩვენ მიერ მოძიებულ საილუსტრაციო მაგალითებში განკერძოებული ადგილის გარემოება აზუსტებს მის წინ მდგომ ადგილის გარემოებას. მაგალითად:

1. „გაღმა, კლდის წაწვეტებულ შვერილზე, პარაშუტი ეკიდა“ (იოსელიანი, 1982: 43).
2. „მის წინ, ლოდზე, ბაწრის თავი იყო მოხვეული“ (იოსელიანი, 1982: 77).
3. „გარეთ, მოედანზე, გაშემებული კაპრალი შეინძრა“ (იოსელიანი, 1982: 81).
4. „იყო კიდევ ერთი ჯგუფი, ჩვენი ორდობის ჩამოსასვლელში, სამჭედლოს უკან...“ (იოსელიანი, 1989: 117).
5. „მეზობელ სოფელში, მალლაკში, ნათესავები გვყავდა ნიჭარაძეები“ (იოსელიანი, 1989: 154).
6. „ქვევით, კლუბში, სართულებს ხის იატაკი ყოფდა...“ (იოსელიანი, 1989: 201).

7. „აღმოსავლეთით, **რიბირაბოში**, კლდის ქიმები რომ შავად გამოისახა, გამოქვაბულთან გაჩნდა“ (ოსელიანი, III, 2011: 228).
8. „შორს, **დაღმართის ბოლოში**, ვიღაცა დალანდა“ (ოსელიანი, III, 2011: 7).
9. „გადავედი იქვე, **გზის გადაღმა**, ჩავიჩოქე ცალ მუხლზე და დავწერე, რაც დავინახე და მოვისმინე“ (ოსელიანი, IV, 2011: 95).

ოტია ოსელიანის შემოქმედებაში, ხშირად, ერთზე მეტი გარემოებაა განკერძოებული, რითაც მწერალი აზუსტებს სათქმელს, რაც მკითხველისთვის უკეთ გასაგებია. მაგალითად:

1. „იქნებ იქითა ნაპირზე, იქით, **შორს, სადაც, უცნობ ნაპირზე, უცნობ სოფელ-ქვეყანაში** მოვითქვა სული...“ (ოსელიანი, 1989: 63).
2. „მდინარის ორივე მხარეს, **დაბუქულ შამბსა და ეკალ-ბარდების მიღმა**, მოსახლეობა იყო“ (ოსელიანი, 1979: 48).
3. „სანბატის მიღმა ტყეების, **მინდვრების და ნაყანების იქით**, ვინ იცის, რამდენ კილომეტრზე, მტერი წინ მიიწევდა“ (ოსელიანი, 1979: 195).
4. „იქვე, **სცენის კუთხესთან, წინა რიგებში**, ზალიკოს ნაცნობი ხმა მოესმა...“ (ოსელიანი, 1971: 103).
5. „სოფლის მარჯვნივ, **ენგურის გაღმა**, მაღალი მთის ბუჩქნარით, **დეკიანით დაფარულ რუხ მთაზე**, სადაც გიგის და ბაჩოს თამარის სააგარაკო ციხე დაანახვეს, იქიდან მოდიოდა ეს ხმა“ (ოსელიანი, 1971: 170).
6. „ეძებს მესამე დღეს და ძალიან შორს, **საჯიხვეებს გადაღმა, თეთრი მყინვარის ახლოს**, გამოქვაბულში იპოვეს ცხენის ნადგომი“ (ოსელიანი, 1971: 177).
7. „იქვე, **გზის პირას, ისიდორეს ეზოსთან**, ხარ-ურმიანად წავადექი ზედ“ (ოსელიანი, 1965: 42).

განკერძოებული ადგილის გარემოება დასახელებულ მაგალითებში უშუალოდ მოსდევს დასაზუსტებელ ადგილის გარემოებას. თუმცა, მწერლის შემოქმედებაში, გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, სადაც განკერძოებული ადგილის გარემოება უშუალოდ არ მოსდევს დასაზუსტებელ გარემოებას. მაგალითად:

1. „იმ დილით არწივებიც კი უფრო დაბლა ფრენდნენ, **ხევებში**“ (ოსელიანი, 1982: 60).

2. „იქაც ტბორი იქნება, ჩვენს ქვეყანაში, და რა განსხვავებაა?“ (იოსელიანი, 1989: 224).
3. „აივანში კი, სობანეზე, დაფეხვილი დედაბერი, ქვრივ-ოხერი მათუსალა ბუზღუნებს“ (იოსელიანი, IV, 2011: 164).
4. „იგი ამ კუნაპეტში, კლდოვანი ბორცვის ძირას გამორღვეულ შეღრმავება-ქვაბულში უნდა იწვეს, მოფარებულში...“ (იოსელიანი, III, 2011: 196).
5. „ხათუნამ ჭერში ახალი, პატარა თარო გაუკეთა მაკრატელას ბუდისათვის, ფანჯარასთან ახლოს, და შეუდგა მაკრატელა ბუდის შენებას“ (იოსელიანი, 1971: 43).
6. „ჩვიდმეტი წელი ის-ის იყო შემისრულდა და რადგან ჩვენი საერთო საცხოვრებელი ზედ რკინიგზის პირას იდგა, სადგურთან ახლოს, მემანქანეობა იყო ჩემთვის ძილში და ღვიძლში საოცნებო და საფიქრალი“ (იოსელიანი, 1965: 7).
7. „მეზობელი იქვე წრიალებს, საზღვართან“ (იოსელიანი, 1965: 22).

მწერლის შემოქმედებაში განკერძოებულ ადგილის გარემოებასა და დასაზუსტებელ გარემოებას შორის საინტერესო აზრობრივი მიმართებაა. მაგალითად:

ა) გვაქვს შემთხვევები, როცა დასაზუსტებელი გარემოება გამოხატავს უფრო ზოგად ცნებას, ვიდრე განკერძოებული. მაგალითად:

1. „მესამე კლასში მამიდამ წაგვიყვანა მე და ჩემი ძმა, გვიშტიბის მეზობლად, სოფელ გუბისწყალზე“ (იოსელიანი, 1989: 14).
2. „მე, აგერ, დედაჩემის ზურგზე, ორ დიდ ნაწნავს შუა, საყელოში ცხვირჩარგულს და კისრის ღინღლში შუბლშეფარებულს, ჩემი სამყარო მაქვს...“ (იოსელიანი, 1989: 33).
3. „პირველად ვზივარ მატარებელში და, ბებიასთან ერთად, მივემგზავრები შორს, შორს, შორაპანში“ (იოსელიანი, 1989: 56).
4. „დეიდაჩემი ცხოვრობს ქუთაისში, რკინიგზის ძველ სადგურთან“ (იოსელიანი, 1989: 142).
5. „სახლის წინ, კოინდრის მიღმა, ხეხილიც ყორით იყო გადაღობილი...“ (იოსელიანი, 1989: 37).

6. „ქვევით და ქვევით, **ქყუტა მსხლის მიღმა**, ლამისპირებთან გაივაკებს“ (ოსელიანი, 1989: 74).
 7. „...გარეთ, **მამალი მერცხლის გამაგრებულ ბუდეში**, მოკვდა ორი პატარა, უდედმამო მერცხალი“ (ოსელიანი, 1971: 41).
 8. „წყალტუბოში, **მაშინდელ „ზისების“ ძარაზე**, სხვა საბანკო ავლადიდებასთან ერთად ქვეშაგებიც დაგვაცრევენეს...“ (ოსელიანი, 1989: 109).
- ბ) ასევე ჩვენ მიერ მოძიებულ მაგალითებში, გვაქვს შემთხვევები, როცა განკერძოებული ადგილის გარემოება უფრო ზოგადს გამოხატავს, ვიდრე მის წინ მდგომი გარემოება. მაგალითად:
1. „მართლაც, **სამეზობლო ღობის ძირას**, კვრინჩხის და ეკალ-მაყვლის ბარდებში უშველებელ ორმოს წავადექი“ (ოსელიანი, IV, 2011: 160).
 2. „**ეზოს ბოლოში**, ბროწეულის ღობესთან უნაბის და ალუჩა-ტყემლის ხეებთან კი არა, უფრო აქეთ, **ნიგვზის გასწვრივ** ვეება ბებერი ფითრიანი მსხალი რომ გვედგა“ (ოსელიანი, IV, 2011: 254).
- გ) მწერლის შემოქმედებაში განკერძოებული ადგილის გარემოების ისეთი შემთხვევებიც გვხვდება, როცა განკერძოებული ადგილის გარემოება და დასაზუსტებელი გარემოება ერთნაირი მოცულობის ცნებას გამოხატავს. მაგალითად:
1. „დაბლობ საყანებს იქით, **მდინარის გაღმა**, რკინიგზა გადიოდა...“ (ოსელიანი, 1989: 170).
 2. „აქ, **რაიონში**, სულ ორი სკოლა გვაქვს“ (ოსელიანი, III, 2011: 52).
 3. „თანაც წინ, **შორს**, რაღაც მომწვანო-მოცისფრო დავლანდე და იმედი მომეცა, ოაზისი იქნება-მეთქი“ (ოსელიანი, IV, 2011: 38).
 4. „სოფლის ბოლოს, **მინდორში**, ბავშვები დაინახა“ (ოსელიანი, 1971: 16).
 5. „შორს, **სივრცეში**, მერცხლების მცირე გუნდი გამოჩნდა“ (ოსელიანი, 1971:46).
 6. „აქ კი, **მყინვარის სითეთრეში**, თუ ღრუბლებმა არ გვიმუხთლა, ისე რა ჩამოაღამებს, თვალში თითი ვერ მივიტანოთ“ (ოსელიანი, 1981: 10).
 7. „ადმოსავლეთით, **დაზვინული ღრუბლების ზემოთ**, უფერული ვარსკვლავები გაჭიატდა“ (ოსელიანი, 1981: 10).

8. „მაღაზიების წინ, აკაციების ჩრდილში, სახანძრო დაცვის უფროსს კორნელი ბენიძეს და ინჟინერ აპოლონ მესხს გადაეყარა“ (ოსელიანი, 1972: 480).

ოტია ოსელიანის შემოქმედებაში განკერძოებული ადგილის გარემოება და წინა გარემოება ერთი და იმავე ან სხვადასხვა მეტყველების ნაწილით გადმოიცემა. მაგალითად:

ა) გვაქვს შემთხვევები, როცა განკერძოებული და მის წინ მდგომი ადგილის გარემოება - ორივე ზმნიზედითაა გადმოცემული. მაგალითად:

1. „მდელოს არყის ხეების ხშირი ზოლი ჰყოფდა და ამ არყნარის მიღმა, შორს, რამოდენიმე თეთრ ქოხი იყო მწკრივად ჩარიგებული...“ (ოსელიანი, 1979: 216).

2. „შორს, მთებს იქით, ღრუბლები მოჩანს“ (ოსელიანი, 1965: 25).

ბ) ჩვენს მიერ მოპოვებულ საილუსტრაციო მაგალითებში დასტურდება ისეთი შემთხვევებიც, როცა პირველი გარემოება ზმნიზედითაა გადმოცემული, ხოლო განკერძოებული - სახელით. მაგალითად:

1. „-აქ, მთაში, მანქანა იშვიათია“ (ოსელიანი, IV, 2011: 311).

2. „კარადის ქვეშ, საწოლის ბოლოში, მიდი, დაიხარე და ქვევით, კედელთან სადაც ცოცხი არ მიუწვდება, შენი ოთხი წლის წინანდელი ცალი ქოში აგდია, ახლა ფეხი რომ არ ჩაგია“ (ოსელიანი, 1979: 109).

3. „ქვევით, დაბლა სართულზე კი, მეორე, შავთვალა გოგონა ცხოვრობს“ (ოსელიანი, 1971: 97).

4. „იქვე, ჩემს მეზობლად, ცხოვრობს ერთი ოქროსფერთმიანი გოგონა“ (ოსელიანი, 1971: 97).

გ) ოტია ოსელიანის შემოქმედებაში ხშირია შემთხვევები, როცა განკერძოებული და ასახსნელ-დასაზუსტებელი ადგილის გარემოება - ორივე სახელით არის გადმოცემული. აქ გამოიყოფა რამდენიმე საინტერესო შემთხვევა. მაგალითად: დასაზუსტებელი და განკერძოებული გარემოებები ერთსა და იმავე ბრუნვაშია და ერთსა და იმავე თანდებულს დაირთავს. მაგალითად, განკერძოებული და ასახსნელ-დასაზუსტებელი ადგილის გარემოება მიცემით ბრუნვაშია და ორივე დაირთავს ერთსა და იმავე თანდებულს. მაგალითად:

1. „**ლაფაროს** გასათავარში, სახლის კუთხეში რაღაც ხმაურით წამოედო...“ (ოსელიანი, 1979: 334).
2. „**აივანზე, სახლიდან გამოსულ სინათლეზე**, ბრგე მამაკაცი გამოჩნდა“ (ოსელიანი, 1965: 356).

ასევე გვაქვს ისეთი მაგალითებიც, როცა განკერძოებულ ადგილის გარემოებასა და დასაზუსტებელ ადგილის გარემოებას ბრუნვა ერთი აქვს, თანდებული კი - სხვადასხვა. მაგალითად:

1. „**ამიტომ სახლის დამთვარება** გადადო და მეზობელ რაიონში, **დიდი ჰესის მშენებლობაზე**, მოუხშირა სიარულს“ (ოსელიანი, 1989: 320).
2. „**აივნის კუთხეში, ტახტზე**, ბებია მიწოლილიყო, თვალები დაეხუჭა“ (ოსელიანი, 1971: 49).
3. „**შესასვლელთან**, ქვაყრილზე ასხლეტილი ბორიო შიგ ვერ აღწევს“ (ოსელიანი, III, 2011: 196).

მწერლის თხზულებებში გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როცა განკერძოებულ ადგილის გარემოებასა და დასაზუსტებელ ადგილის გარემოებას ბრუნვის ფორმა ერთი აქვს, მაგრამ ერთი თანდებულიანია, მეორე კი - უთანდებულო. მაგალითად:

1. „**შორს, ცის კიდურზე**, ქუნქულა თეთრი ღრუბლებიც კი გარინდულან“ (ოსელიანი, IV, 2011: 272).
2. „**არც იმას ავალებდნენ სახლის ლაფაროში, ღობის ძირას**, თუ ტანკის მუხლუხობს მოფარებულს, დილამდე ედარაჯა...“ (ოსელიანი, 1979: 251).
3. „**შენ მუხლმოკვეთილმა გადადგი რამდენიმე ნაბიჯი**, რომ მოგეძებნა მეჩხერი ტყე და წინ გაგეხედა, იქნებ სინათლე დაგენახა შორს, **თვალმიუწევზე...**“ (ოსელიანი, 1965: 174).

ასევე, ჩვენ მიერ მოძიებულ მაგალითებში, გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როცა განკერძოებულ ადგილის გარემოებას და დასაზუსტებელ ადგილის გარემოებას სხვადასხვა ბრუნვის ფორმა აქვს და სხვადასხვა თანდებულს დაირთავს. მაგალითად:

1. „**ფერმის ეზოში, გრძელ ფაცხებს შორის**, ახალწვეულები ირეოდნენ“ (ოსელიანი, 1979: 266).

2. „ინათა მთიდან, მშრალი ხეობის შეფენებაზე, ალიზის ციხესიმაგრესავით ერთმანეთზე შეხოლიხებული მიწურების აული გამოილანდა“ (იოსელიანი, 1979: 289).
3. „ერთგან, შუა გზაზე, ძველი საფოსტო თუ საგზაო, მომცრო გალავანშემოვლებული შენობა იდგა ობლად და ეულად“ (იოსელიანი, 1979: 265).
4. „კამოდის თავზე, გაბზარული სარკის გვერდით, განსვენებული დიასახლისის სურათი იდგა კედლისაკენ გადაფერდებული...“ (იოსელიანი, 1981: 168).

ბ) განკერძოებული დროის გარემოება

ოტია იოსელიანის შემოქმედებაში, დროის გარემოების განკერძოება უფრო იშვიათად გვხვდება, ვიდრე ადგილის გარემოების განკერძოების შემთხვევები. თუმცა, ჩვენ მიერ მოძიებულ მაგალითებში დასტურდება განკერძოებული დროის გარემოების სხვადასხვა შემთხვევა. მაგალითად: როცა განკერძოებულია ცალკეული დროის გარემოება:

1. „იმ ვარსკვლავთმრიცხველობის დროს ჩამივარდა ხელში, ერთი კვირით, აღმოსავლური პოეზია“ (იოსელიანი, 1989: 205).
2. „ეზოებში, რა თქმა უნდა, შესვენებაზე, ბავშვები ირევიან და არის ერთი ჟრიაშული“ (იოსელიანი, IV, 2011: 84).
3. „ვუცადე, ვუცადე, დღეს-ხვალ, ამ თვეში, იმ თვეში, ამ წელიწადში, იმ წელიწადში, ვილას ვახსოვარ!“ (იოსელიანი, IV, 2011: 221).
4. „ასეთ სიმაღლეზე ნეკერი კი არა, ზაფხულში, უსახური ბალახი რომ იზრდება, ისიც ცრიატი, ფერნაკლული და უდღეურია“ (იოსელიანი, III, 2011: 211).
5. „იმ ადამმა, მაშინდელი, ყველაზე უკეთესი ევა აირჩია“ (იოსელიანი, III, 2011: 86).

შედარებით უფრო ხშირია, მწერლის შემოქმედებაში, ისეთი შემთხვევები, როცა განკერძოებული დროის გარემოება აზუსტებს და განმარტავს წინა დროის გარემოებას. მაგალითად:

1. „ელოდა ალათი ვაჟიშვილს ყოველ ცისმარე დღე, ყოველ წლის ოდენა ღამე, ყოველწუთს, წამს, ამინდში და უამინდობაში, ქარში, წვიმაში, ყინვაში, პაპანაქებაში...“ (იოსელიანი, 1989: 140).
2. „გაზაფხულზე, წყალდიდობის დროს, მთელი ამოდენა ფართობი იმლაშებოდა“ (იოსელიანი, 1989: 25).
3. „გვიან წავიდა, ფილმის დაწყების შემდეგ, როცა დაღლილ თომას მთქნარება აუტყდა“ (იოსელიანი, 1989: 285).
4. „იგი ყოველ ღამეს, დაწოლის წინ, ევედრებოდა მამაზეციერს შვილის დაბრუნებას და, ალბათ, ელოდა სასწაულს“ (იოსელიანი, 1989: 335).
5. „ღამით, გვიან, გულის ძილში რომ იყვნენ, მაშინ მიადგა სამოყვროს, მასპინძლობა გაუსინჯა...“ (იოსელიანი, 1965: 37).
6. „იმავე დღეს, საღამოს, ჩემს ბიძაშვილს შევხვდი“ (იოსელიანი, 1965: 142).
7. „იქ ჩამოვიდა ის კაცი გუმინ, საღამოს მატარებელზე“ (იოსელიანი, 1965: 274).
8. „შაბათს, ნაშუალამევს, როცა მარგო ქმრით, მაზლებით, დედამთილით და საბანში გაკრული ორი ტყუპი ქალიშვილით კარზე მოადგა, გენო ჰესის მშენებლობიდან დაბრუნებული არ იყო“ (იოსელიანი, 1972: 434).

ოტია იოსელიანის შემოქმედებაში განკერძოებული დროის გარემოება უფრო მცირე დროის მონაკვეთს აღნიშნავს, ვიდრე დასაზუსტებელი, ე.ი. განკერძოებული დროის გარემოება აზუსტებს და დამატებით ცნობებს გვაწვდის დასაზუსტებელი დროის გარემოების შესახებ. მაგალითად:

1. „შუა ზაფხულს, ივლისის პაპანაქებაში, დედა აბასთუმნიდან თბილისში ჩამოვიდა“ (იოსელიანი, 1979: 111).
2. „წინა დღეს, უთენია, პურის რიგში, სანამ მაღაზია გაიღებოდა, ფეხზე ყურყუტით ჩამოწყდა...“ (იოსელიანი, 1979: 116).
3. „მართლა დღისით და მზისით არასოდეს, მაგრამ ღამით, შებინდებისას, უმთვარო და მთვარიანშიც დაკარგულ ძროხას რომ ეძებ, რამდენი რამ მოგჩვენებია და მოგლანდებია“ (იოსელიანი, 1989: 79).
4. „გვიან, შუალამისას, შევედი ოთახში...“ (იოსელიანი, III, 2011: 303).

5. „არც გივარგილას ენახა და არც ბაუჩის, მაგრამ ბაუჩის მამა ბრიგადირი ყოფილა და უთქვამს: ბიმურზა გუშინ, ასე, გამთენიის ხანს, ზედა ფერმაში მისულა მწყემსებთან...“ (ოსელიანი, 1971: 181).
6. „ერთ ღამეს, ასე, მეორე მამლის ყვილზე, გავარდა თოფი“ (ოსელიანი, 1965: 31).
7. „ერთხელ, გაკვეთილების შემდეგ, კლუბის წინ ნახატებიანი რეკლამა დაინახა“ (ოსელიანი, 1965: 228).

გ) **განკერძოებული ვითარების გარემოება**

ოტია ოსელიანის შემოქმედებაში ვითარების გარემოების განკერძოების რამდენიმე სახე გვხვდება: კერძოდ, როცა ერთი ან რამდენიმე ერთგვარი ვითარების გარემოება შემასმენლისაგან არის განკერძოებული. ამის საილუსტრაციო მაგალითებია:

1. „მივადექით წალდიანი და უწაღდო, სოფლის ახლო-მახლო, ერთ დროს კერძო, თითო მტკაველა ტყეებს, ნებართვით და უნებართვით, ნამალავად და ნაცხადურად...“ (ოსელიანი, 1989: 171).
2. „ეტყობა ჯიუტი ქოჩორი აქვს, და მიდის ნავისაკენ, მიდის ისე, ხელგაუნძრევლად, თავშეუწუხებლად...“ (ოსელიანი, 1965: 84).
3. „ღვინიას, ბეჭზე თავმიდებულს, ეძინა“ (ოსელიანი, 1965: 359).
4. „დავდიოდი სადღაც, უგზო-უკვლოდ, დამფრთხალი, შემინებული, რომ არავის გადავყროდი, რომ თვალეში არავის ჩაეხედა“ (ოსელიანი, 1965: 471).

მწერლის შემოქმედებაში გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც განკერძოებული ვითარების გარემოება აზუსტებს და დამატებით ინფორმაციას გვაწვდის წინა ვითარების გარემოების შესახებ, როგორც ეს შემდეგ მაგალითებშია:

1. „ამოფორთხდა და გაშმაგებით, ჩქარ-ჩქარა, ხელით აყარა და აყარა ერთმანეთში არეული ქვა და მიწა“ (ოსელიანი, 1982: 138).
2. „ოთხ-ოთხი დავდგით ერთად, ჩალის ჩერგელასავით, თავი მუჭა ისლით შეგვაკრევიანა...“ (ოსელიანი, 1989: 227).
3. „აბა, რა მოუვა უპატრონოდ, ღვთის ანაბარად მიტოვებულს...“ (ოსელიანი, 1982: 425).

4. „ვივლი შარა-შარა, **ბილიკ-ბილიკ**, გზასა თუ ნაგზურში, ნაკვალევზე და უდაბურში...“ (ოსელიანი, IV, 2011: 3).
5. „განზრახ რომ ჩაგედინა, **ყალბად და ყასიდად**, გგონია, გამოეპარებოდა და ამით რიგში არ დაგაყენებდა?“ (ოსელიანი, III, 2011: 185).
6. „გულმა ისე, **სხვათა შორის**, უმატა ძგერას და ყურშიაც მოწოლილმა სისხლმა ბაგაბუგით და ხმაურით დაიწყო მოძრაობა“ (ოსელიანი, 1965: 234).

ჩვენ მიერ მოძიებულ მაგალითებში გვხვდება განკერძოებული ცალკეული ვითარების გარემოების შემთხვევებიც. მაგალითად:

1. „იქვე, სახლთან ახლოს, ბლის ხეზე მამალი აფათქუნდა და იყვილა, **მჭახედ, საშიშრად**“ (ოსელიანი, 1979: 405).
2. „თვალეში უნდა შეხედო, **გამომწვევად**, უტეხად და ცხვირაბზუებულმა უარი ისე, სიტყვიერად უნდა უთხრა“ (ოსელიანი, III, 2011: 80).
3. „თოვს, **წვრილად, წვიმაშერეულად, გაუბედავად**, უმატებს, ფარავს მიწას, იკიდებს ფეხს და ისევ თოვს“ (ოსელიანი, 1965: 12).

დ) საენათმეცნიერო ლიტერატურაშია მითითებულია, რომ „**განკერძოებული მიზეზისა და მიზნის გარემოების** მაგალითები ქართულში ძალიან იშვიათია“ (ფეიქრიშვილი, 1996: 211). ჩვენ მიერ მოძიებულ მაგალითებშიც, ოტია ოსელიანის შემოქმედებიდან, არ დასტურდება მსგავსი შემთხვევები.

ამდენად, მწერლის შემოქმედებაში, პერსონაჟისა თუ ავტორის მეტყველებაში, დასტურდება ადგილის, დროისა და ვითარების გარემოების განკერძოების სხვადასხვა განსხვავებული შემთხვევები. მისი სტილისტიკური ფუნქციაა დააზუსტოს წინა გარემოება; უფრო ცხადი გახადოს სათქმელი და მკითხველისთვის იყოს ადვილად გასაგები.

თ. ზვიადაძე ოტია ოსელიანის ლექსიკაზე საუბრისას აღნიშნავს, რომ „**ოტია ოსელიანის თხზულებებში თვალსაჩინოდ აისახა ქვემოიმერული მეტყველებისათვის დამახასიათებელი თავისებურებები. დიალექტი მწერლისათვის ორი ძირითადი ფუნქციის მატარებელია. უპირველესად იგი ქმნის ეთნოკოლორიტს, უფრო დამაჯერებელს, რეალურს ხდის იდეურ-თემატურ ჩანაფიქრს და, რა თქმა უნდა,**

იყენებს იმ განუმეორებელ ხიზლს, რომელიც ყოველ დიალექტს გააჩნია და რომლითაც მდიდრდება სალიტერატურო ენა“ (ზვიადაძე, 2009: 118-119). ჩვენ მიერ, ოტია იოსელიანის შემოქმედებიდან, მოძიებულ მასალაშიც დასტურდება განკერძოებული გარემოების დიალექტური ფორმები (ჩალის ჩერგელასავით, ნამალავად და ნაცხადურად, ყოველ წლის ოდენა ღამე, თვალმიუწევზე, გასათავარში, შეფენებაზე, დაზვინული ღრუბლების ზემოთ, ჭყუტა მსხლის მიღმა, დაბუქულ შამბსა და ეკალ-ბარდების მიღმა). მათი გამოყენებით სათქმელი ხდება კიდევ უფრო შთამბეჭდავი და გასაოცარი, და ამავე დროს, ამ დიალექტიზმების საშუალებით მდიდრდება სალიტერატურო ენა. აღნიშნული ფორმები დასტურდება უმეტესად პერსონაჟის მეტყველებაში.

2.3. დანართი

დანართის განმარტებასთან დაკავშირებით სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. ჟუჟუნა ფეიქრიშვილის განმარტებით, „დანართი არის ისეთი განკერძოებული სიტყვა, რომელიც შეიცავს სახელით გადმოცემული წევრის შემავსებელ ცნობებს დაზუსტებისა თუ ახსნა-განმარტების სახით“ (ფეიქრიშვილი, 1996: 211). მაგალითად: ოტია იოსელიანის შემოქმედებაში გვაქვს ასეთი წინადადება: „ვიცანი, ამირანის მამა იყო - ეზიკა“ (იოსელიანი, 1965: 356). მოცემულ წინადადებაში ქვემდებარეა „მამა“, ხოლო დანართი - „ეზიკა.“ ის იძლევა დამატებით ინფორმაციას ქვემდებარის შესახებ.

ნ. ცქიტიშვილის მოსაზრებით, „დანართი ისეთი საზოგადო არსებითი სახელითაა გადმოცემული, რომელიც საზღვრულის აღმნიშვნელი საზოგადო სახელისავე ერთგვარ სინონიმს წარმოადგენს, მსგავსი, ზოგჯერ იდენტური მნიშვნელობის მატარებელია. ასეთი დანართი საზღვრულს შეიძლება მაიგივებელი კავშირებითაც უკავშირდებოდეს“ (ცქიტიშვილი, 1983: 120).

ოტია იოსელიანის შემოქმედებაში დასტურდება დანართის გამოყენების შემთხვევები, როგორც კავშირიანი, ისე - უკავშირო შეერთებით.

კავშირიანი შეერთების მაგალითებია:

1. „მართალია, ჩვენ, მე და კესარია, თუ გინდა ბებრები ვართ, რაღა ჭკუა მოგვეკითხება“ (ოსელიანი, V, 2011: 54).
2. „იმ ქალს სიძეც ჰყავდა, შვილიშვილებიც, მნახველიც და მომკითხავიც“ (ოსელიანი, 1965: 78).

უკავშირო შეერთების მაგალითებია:

1. „ბუხუტის ენაცვალა დედამისი, ჩემი ნაბოლარა, ჩემი სიხარული“ (ოსელიანი, V, 2011: 5).
2. „მე გახლავარ, დაშნიანის ქალი“ (ოსელიანი, V, 2011: 6).

ოტია ოსელიანის შემოქმედებაში დანართი ახლავს წინადადების სხვადასხვა წევრს. უმეტესად, მოსდევს იმ წევრს, რომელსაც ახლავს. მაგალითად:

ა) **შემასმენელს:**

1. „თითქოს ის ჩემზე ბრაზობს - ადამიანზე, რომ მე შრომისა და მოთმინების ფასი არ ვიცი...“ (ოსელიანი, 1981: 170).
2. „- ბრიგადირად გაგიშვებ, ახალგაზრდა კაცი ხარ, ტექნიკოს-აგრონომი, დავასვენოთ ღენტორიე, რას იტყვი შენ? (ოსელიანი, 1965: 103).
3. „მოდრაობამ გაბედულება დაუბრუნა და აფიქრებინა, რომ წელან შეშინდა, შეშინდა, როცა მის ზურგს უკან ქალები იყვნენ, როცა მეგობარი მოუკლეს - პატარა კლასი, მეგობარი კი არა, შვილი“ (ოსელიანი, 1972: 240).
4. „მე ვარ, ნათლია, ნამეტანი ადრე მომივიდა მოსვლა, მაგრამ ქარხნიდან გამოვიარე...“ (ო. ოსელიანი, V, 2011: 51).

ბ) **ქვემდებარეს:**

1. „თხა, შენი სამარცხვინო ნათესავი, მთელი ქვეყნის მთასა და ბარში დაპეტელობს და ცეროდენა ბავშვებიც კი წველიან“ (ოსელიანი, 1981: 13).
2. „ჩვენ, ადამიანები, ნიღბებით დავდივართ, დალი“ (ოსელიანი, V, 2011: 336).
3. „იყოს, მალაქია, მაგას იშვიათი ფხალის ბწნილი აქვს და მაგისმა ცოლმა, ფედოსიამ, კაი კვერცხის გულწასმული ხაჭაპური იცის“ (ოსელიანი, V, 2011: 160).

4. „წიგნში კაცის და მამულის სიყვარულის მეტი არაფერი წერია - და თქვენ, ჩემი ცოდვით სავსეებო, სად კითხულობთ, მამაშენს ძალღივით არ მიხედოთო?!“ (ოსელიანი, V, 2011: 69).
 5. „დოდოს კი არა, აღმასკომის თავჯდომარის ქალიშვილი, კალმით ნახატი ექიმი გოგო, ჭკუას კარგავდა მისთვის...“ (ოსელიანი, 1972: 383).
 6. „ამ სადამოს ბილიკზე რომ ორი ჯარისკაცი მოკლეს - ერთი, კლემენი, მისი მეგობარი იყო“ (ოსელიანი, 1972: 212).
 7. „გუას მამა, ბეთქილი, ორს დაჯერებია, ამაზე თათარყანი განრისხებია და ისე მოკვდა, ომის წინა წელიწადს, შვილისთვის ხმა არ გაუცია“ (ოსელიანი, 1972: 185).
 8. „მარგომ პირდაპირ ცამდე აიყვანა მაკა და გენოს სიყვარულით რამდენჯერმე წამოკრა: ჩემი ძმა ხარ, შენზე უკეთესი ვინ გამაჩნია, მაგრამ უღირსი ხარ, ისეთი ცოლი გყავს, ჩვენ, შენი ნათესავეები, ფეხებს უნდა ვბანდეთო“ (ოსელიანი, 1972: 433).
 9. „იცოდე შენ, სოლო, ამ არეულ და ანდლლეულ წყალში მალაქიე რადაცა ღლავსაა ჩაფრენილი“ (ოსელიანი, V, 2011: 143).
 10. „ჩვენ, ადამიანებს, ძალიან გვიჭირს მოძმეთათვის დიდების გამეტება, მაგრამ ჯობეს მაინც მუხლრკინას ეძახდნენ“ (ოსელიანი, 1981: 11).
- გ) **დამატებებს:**
1. „დედა, ეს უბრალო სოფლელი გოგო, მამამ რომ შეირთო, ქალაქში ნაქირავებ სარდაფში მიიყვანა და სადაც თვითონ მუშაობდა, იმ ქარხნის კანცელარიაში დააწყებინა მუშაობა“ (ოსელიანი, 1981: 234).
 2. „კიდევ ერთხელ რომ გაუმართლებდეს, გუცა და თაჯი უვნებელნი იქნებოდნენ, ბიჭი დიდხანს არაფერს შესთხოვს ჯგერაგს და ნადირობის ქალღმერთს - დალის“ (ოსელიანი, 1972: 219).
 3. „შარშანწინ კლაუსმა რომ იგრძნო, მისი კლასის მეგობარი, ულა, ყველაზე უკეთესი გოგო იყო, დედას მაშინვე უთხრა“ (ოსელიანი, 1972: 237).
- დ) **განსაზღვრებას:**

1. „ისე მოვიკეთე, რომ მესმოდა რაზე საუბრობდნენ პალატაში და როგორ გაბმით ახველებდა ჩემს თავს იქით ფანჯარასთან მწოლიარე ავადმყოფი და საღამოს როგორ კვნესოდა გულით დაავადებული, ხანში შესული, საკონსერვო ქარხნის დარაჯი“ (ოსელიანი, 1965: 191).

ე) გარემოებას:

1. „ასე ჩვეულებრივი ქალი და მამაკაცი იქნება ქვეყნის მესაჭე, უფრო გასაგებად - მმართველი, ანდა გამგებელი“ (ოსელიანი, V, 2011: 199).
2. „დედას კი, თუ ვინმე ჰყვარებია ამქვეყნად - ბიჭიკო!“ (ოსელიანი, 1972: 391).
3. „სიმონის ბიძაშვილთან - ანტონ ლეჟავასთანაც შეიარა“ (ოსელიანი, 1972: 423).

ოტია ოსელიანის შემოქმედებაში დანართი უმეტესად გადმოცემულია არსებითი სახელით. მაგალითად:

1. „მერის უფროსი ძმა, ბაგრატი, თევზაობის ამბავს ყვებოდა“ (ოსელიანი, 1972: 440).
2. „ქორწილში ვიღაც ნახევრად სულელმა და გიჟმა, თამადა - თავისი მკვიდრი ბიძაშვილი - დაჭრა“ (ოსელიანი, 1972: 430).
3. „ბუხუტის ენაცვალა დედამისი, ჩემი ნაბოლარა, ჩემი სიხარული“ (ო. ოსელიანი, V, 2011: 5).
4. „მერიმ სულაც რომ არ ამოიღოს ხმა, მისი - ძმები - ღიბრაძეები ვერ მოითმენენ, მით უფრო, მარგოს ქმარი - ჯაბა“ (ოსელიანი, 1972: 391).
5. „ბიძაჩემი - ჯობე უცოლშვილოდ, უმემკვიდროდ მოსპო შენმა წინაპარმა“ (ოსელიანი, 1981: 7).
6. „ალესილ დანაზე რომ ყელი გქონდეს მიშვერილი, შენ თხა გერქმეოდა და მე - ყასაბი“ (ოსელიანი, 1981: 9).

ოტია ოსელიანის შემოქმედებაში დანართი მასთან მდგომი სიტყვებისგან გამოყოფილია: მძიმით (მძიმეებით), ტირეთი (ტირეებით). მაგალითად:

ა) გამოყოფილია მძიმით (მძიმეებით):

1. „შენ, მამაჩემო, მიწის მუშა კაცი ხარ, შენი საქმე იცი და ვინც გიცნობს, რატომაც არა, გაფასებს“ (ოსელიანი, V, 2011: 29).

2. „დედა, რავა დავიბენი და შენც, აგაბო, თელათ ამირიე ჭკუა“ (ოსელიანი, V, 2011: 11).
 3. „აი, ამ ჯორკოზე დამიჯექი, შენ, ჩემო კოკი!“ (ოსელიანი, V, 2011: 10).
- ბ) გამოყოფილია ტირეთი (ტირეებით):
1. „მხოლოდ შენ ერთმა - **ჯიხვმა** უწყი აქ ცხოვრების საიდუმლო და ყველა სულდგმულისათვის შესაშური სიცოცხლის ფასი“ (ოსელიანი, 1981: 25).
 2. „სოფელში ის რჩეული ჯარისკაცები აღარ იყვნენ, მაგრამ კაცის სახსენებელი რომ სულ გაწყვეტილიყო, ქალები - დედები ამხედრდებოდნენ, პირჯვარს გადაიწერდნენ, ჯგერაგს - **წმინდა გიორგის** - შველას შესთხოვდნენ...“ (ოსელიანი, 1972: 231).

ჟუჟუნა ფეიქრიშვილის განმარტებით, „სამეცნიერო ლიტერატურაში განკერძოებულ წევრადაა მიჩნეული აგრეთვე, **გარდა** და **მიუხედავად** თანდებულებით ნათესაობით ბრუნვაში მართული სახელები, რომელთაც **უბრალო დამატების** ან გარემოების მნიშვნელობა აქვთ“ (ფეიქრიშვილი, 1996: 200). ჩვენ მიერ მოძიებულ მაგალითებში დასტურდება **გარდა** თანდებულებით მართული სახელები. მაგალითად:

1. „ჯოგში, **ორიოდე ბებერი ჯიხვის გარდა**, არავინ იცის, რომ კლდეზე, სადაც ჩლიქის მოსადებიც არაფერია, ან ისე შვეულია, ტანით ზედ მიკრულიც უფსკრულში ვარდები, რქა უნდა მოიშველიო“ (ოსელიანი, III, 2011: 232).
2. „ამის შემდეგ, მეორედ წამლის დალევამდე არაფერი არ მახსოვს, **გარდა დეიდაჩემისა**, რომელიც ექიმების ნებართვას როდი უცდიდა და ხან საიდან შემოიპარებოდა და ხან საიდან...“ (ოსელიანი, 1965: 190).
3. „- შენი ჯარისკაცები, **გარდა ამ ჯალათისა** და... _ შნაიდერზე და კარლზე აჩვენა, - თუმცა შენთან ესენიც ანგელოზებია“ (ოსელიანი, 1972: 194).
4. „**გარდა ამისა**, ეს თქვენი მატყლის მოსახურავი არ აერევათ გერმანულ მუნდირში“ (ოსელიანი, 1972: 207).
5. „ბიჭს, **გარდა სიცოცხლისა**, აქვს ადამიანის რწმენა“ (ოსელიანი, 1972: 295).
6. „**ამას გარდა**, ახლა საიდუმლო არც ის იყო, რომ დიდ გამოქვაბულში გერმანელები იყვნენ და ქალები აქეთ, მომცრო, ჭერდაბალ ჯურღმულში ჰყავდათ გამომწყვდეული“ (ოსელიანი, 1972: 308).

7. „ეს არ უნდა მომხდარიყო, თუ გამოქვაბულში, **ტყვეების გარდა**, ცოცხალი იყო კიდეც ვინმე, მაგრამ მალე გამოჩნდა, ვინც არ უნდა გამოჩენილიყო“ (ოსელიანი, 1972: 319).
8. „ბუხუტის, **გულქანდას გარდა**, სკოლაშიც არავინ თხოვდა დახმარებას“ (ოსელიანი, 1981: 139).
9. „იმ ნაპირზე, მე რომ დელფინმა გამომიყვანა, **გარდა ჩემი სახელობის ქალაქისა**, უშველებელ მარმარილოს ლოდზე წამოყუდებული, რაშ-დელფინზე ამხედრებული ჩემივე ქანდაკება უნდა დაედგათ...“ (ოსელიანი, IV, 2011: 231).

ამდენად, დანართს საკმაოდ საინტერესო ფუნქცია აქვს წინადადებაში. მწერლის შემოქმედებაში ის გვხვდება როგორც ავტორის, ისე პერსონაჟის მეტყველებაში. მისი ძირითადი ფუნქციაა წინადადებას მიაწიჭოს მეტი ემოცია, ექსპრესია. მკითხველისთვის სათქმელი გახადოს უფრო შთამბეჭდავი. ჩვენ მიერ მოძიებულ მაგალითებში გვხვდება გარდა თანდებულთ მართული სახელებიც (**ორიოდე ბებერი ჯიხვის გარდა, გარდა სიცოცხლისა**). დანართი გვხვდება სახელობით (**კალმით ნახატი ექიმი გოგო**), მოთხრობით (**ჯიხვმა**), მიცემითსა (**ადამიანებს**) და ნათესაობით (**ტყვეების გარდა**) ბრუნვებში. დასტურდება დიალექტური ფორმაც (**ჯგერაგს** - წმინდა გიორგის).

თავი III. წინადადებასთან გრამატიკულად დაუკავშირებელი

სიტყვა - გამოთქმების განკერძოება ოტია იოსელიანის

შემოქმედებაში

3.1. მიმართვა

ცნობილია, რომ „წინადადებასთან გრამატიკულად დაუკავშირებელი სიტყვა-გამოთქმები ნაირგვარია. ზოგი მათგანი კონკრეტულად გამოხატავს მოსაუბრე პირს, ე.ი. პირს, ვისაც მიმართავენ ან ვისაც ავალევენ გარკვეული მოქმედების შესრულებას (მიმართვა), ზოგი აძლიერებს (ადასტურებს ან უარყოფს) წინადადებაში გამოხატულ აზრს. ზოგი კი ემოციურ-მოდალურ ელფერს ანიჭებს წინადადებას (შორისდებული, ჩართული)“ (კეკელია, დავითიანი, 1981: 319).

ოტია იოსელიანის შემოქმედებაში მიმართვა მრავალფეროვანია. ის უმეტესად, გვხვდება დიალოგში. ლ. ლეჟავას აზრით, „დიალოგი მარტივი წინადადებებით, ერთმანეთის შემავსებელი ან ელიფსური ფრაზით არის აგებული, ამიტომ ეკონომიურია, ლაკონიურია, მოქნილია და ამავე დროს ცოცხალი. შესაძლოა მწერალმა თავისი სიტყვებით ისე სრულყოფილად ვერ მოახერხოს გმირების დახატვა, როგორც ისინი მკითხველს დაეხატებიან თვალწინ მათივე საუბრის, მათი დიალოგის მეშვეობით“ (ლეჟავა, 1970: 31). ამ თვალსაზრისიდან გამომდინარე, ოტია იოსელიანის შემოქმედებაში, დიალოგში არსებულ მიმართვის ფორმებს გარკვეული სტილისტიკური მიზანი აქვს - მიანიჭოს წინადადებას ექსპრესიულობა; აზრი გამოხატოს ლაკონიურად.

ოტია იოსელიანი შესანიშნავად ახერხებს პერსონაჟის განწყობილების გადმოცემას მისივე სიტყვებით. სწორედ ამ მიზნით იყენებს მწერალი დიალოგს, სადაც განკერძოებული სიტყვები, კერძოდ, მიმართვა, დიდ როლს ასრულებს. მის შემოქმედებაში დიალოგი ჭარბობს მოთხრობებში, რომანებსა („ვარსკვლავთცვენა“, „ტყვეთა ტყვე“, „იყო ერთი ქალი“, „ქალი გამოვიდა სადალატოდ“, „შავი და ცისფერი მდინარე...“) და პიესებში („სანამ ურემი გადაბრუნდება...“). დიალოგებში უხვად გვხვდება განკერძოებული სიტყვები: **მიმართვა** (რომელიც ზოგჯერ დიალექტური

ფორმითაა წარმოდგენილი), შორისდებული, მიგებითი ნაწილაკები, ჩართული. ამდენად, მწერლის შემოქმედებაში დიალოგის კვლევა ამ მიმართულებით საკმაოდ ვრცელ და საინტერესო მასალას იძლევა.

ოტია იოსელიანის შემოქმედებაში მიმართვა გადმოიცემა როგორც საკუთარი, ისე საზოგადო სახელით. მაგალითად:

ა) **საკუთარი სახელით:**

1. „გაწუხებთ, **ქალბატონო პილასი**, მაგრამ აგერ, დღედღეზე მოვიყვანთ რევოლუციას და ერთი ათად გადაგიხდით“ (იოსელიანი, V, 2011: 167).
2. „- **ბაბუა ბესლან**, გამოუშვით თაჯი და წავალ, _თქვა ქალმა“ (იოსელიანი, 1972: 165).
3. „- შენთვის ჩამიბარებია, **ღვთისმშობელო**, შენ დაიფარე ჩემი ბიჭები, შენ დედა ხარ და დედისა გესმის, **დედაო მარიამ...**“ (იოსელიანი, 1965: 429).
4. „არა, **ჯიბო**, არ იფიქრო, არ მაინტერესებდეს ამ წერილის მოწერის მიზეზი...“ (იოსელიანი, 1965: 150).
5. „- **პირიბე!**.. ციალებდა ქათქათა თოვლზე ააღმასებული მზის სხივი“ (იოსელიანი, 1981: 28).
6. „- **ბატონო ბექუ**, თქვენ მაინც როგორ ატყობთ ამინდს?“ (იოსელიანი, V, 2011: 339).
7. „ნამეტანი ხარ, **ჩემო კესარია**, პატარაზე გულის მოსვლა იცი!“ (იოსელიანი, V, 2011: 25).
8. „- **ზიზო**, ნეტავ რას გედავებოდა და გეგულისებოდა...“ (იოსელიანი, 1981: 230).
9. „- **ეზიკა ბატონო**, ომის მე რა ვიცი, მარა ნათქვამის ნათქვამს ვიმეორებ, გულში არ მეტევა და...“ (იოსელიანი, 1965: 417).

ბ) **საზოგადო სახელით:**

1. „- რა ვუყოთ, **შე კაცო**, იქნებ მეტი არც ჰქონდა“ (იოსელიანი, 1972: 388).
2. „ახლა, **ჩემო მაზლო**, მამათქვენმა რომ შვილი ინდომოს, ჩვენ ავიღოთ და გამოვიჭრათ კისერი?“ (იოსელიანი, V, 2011: 258).
3. „- შენ ჭკვიანი ბიჭი ხარ, **ბიძი!**...“ (იოსელიანი, 1965: 427).

4. „- იცოცხლეთ, **კეთილებო**, იცოცხლეთ... იცოცხლეთ!.. - შაქარივით დადნა სერაფიონი“ (ოსელიანი, 1965: 37).
5. „- აი, ნამდვილად გამარჯობათ, **მეზობლებო!**“ (ოსელიანი, 1965: 21).
6. „- რა, **ბატონო**, ძალი მოგიკლა ვინმემ?“ (ოსელიანი, 1965: 28).
7. „- **შვილო, ჩემო ძამია**, შვილია და დედისათვის რა ცეცხლი და ნავთია, ვინ იცის“ (ოსელიანი, 1965: 241).
8. „- მე, **ჩემო ძმაო**, მესამე კურსიდან მიკრეს თავი პირდაპირ წინა ხაზზე...“ (ოსელიანი, 1965: 252).
9. „- მონადირე ვარ, **ბიძაჩემო**, - დამნაშავესავით დავიწყე თავის მართლება“ (ოსელიანი, 1965: 177).

ქართულ ენაში „მიმართვის პოზიცია წინადადებაში თავისუფალია: იგი გვხვდება წინადადების თავშიც, ბოლოშიც და შეიძლება მოექცეს შუაშიც...“ (ფეიქრიშვილი, 1996: 218). ოტია ოსელიანის შემოქმედებაში მიმართვა გვხვდება როგორც წინადადების თავში, ასევე შუასა და ბოლოში. მაგალითად:

ა) **წინადადების თავში:**

1. „- **ფოსინე**, დაჯექი...“ (ოსელიანი, 1965: 70).
2. „- **ფროილან**, მე არ დაგამადლიდით ამ სამსახურს“ (ოსელიანი, 1972: 183).
3. „- **დედაჩემო!** - მაკა ადგილიდან არ წამომდგარა“ (ოსელიანი, 1972: 532).
4. „**ანტიფო**, ახლა არაფერი თქვა, დაახურე სოლომონს და არქიფოს ქუდი თავზე და გაუძეხი წინ!“ (ოსელიანი, V, 2011: 200).
5. „**ნინელი**, **ჩემო დაია**, მართლა ხომ არაფერი გიჭირს?“ (ოსელიანი, V, 2011: 133).
6. „**აგაზო ბოგვერაძე**, მაგ დაჩინჩული წიგნი გადააგდე, რაღაცას ნუ პრუტუნებ...“ (ოსელიანი, V, 2011: 4).
7. „**მარის**, დაუჯერეთ, თქვენს ძროხებსაც კი ბონდო სხვა თვალთ უყურებს“ (ოსელიანი, V, 2011: 295).
8. „- **ლეჟავას ქალო**, იცოდე, ჯაბა შენი ძმია!“ (ოსელიანი, 1972: 518).

ბ) **წინადადების შუაში:**

1. „არ უსმინო, **მამაზეციერო**, შენი მონა-მორჩილია“ (ოსელიანი, V, 2011: 5).

2. „- სახლია ეს, ანტონ, სახლი, შენი მლოცველი ვიქნებით, ორ კვირაში უნდა მომიხერხოს, - შეიხვეწა მეორე“ (იოსელიანი, 1965: 67).
3. „შვილები ვერა, კესარია, რაც ჩვენ გვინახავს, ვერ ნახავენ“ (იოსელიანი, V, 2011: 7).
4. „სულში გენაცვალე, მამაჩემო, შე გაულუნავო ბერიკაცო!“ (იოსელიანი, V, 2011: 9).
5. „- ასეთია, მეზობელო, ცხოვრება!“ (იოსელიანი, 1965: 22).
6. „ერთი კვირაა, ჩემო თეთრო ქალბატონო, თვალზე ცრემლი არ შეგშრობია და პირში ლუკმა არ ჩაგსვლია“ (იოსელიანი, V, 2011: 184)

გ) წინადადების ბოლოში:

1. „- გამარჯობა, დეიდა თებრო!“ (იოსელიანი, 1965: 106).
2. „- მობრძანდი, ჩემო ერთგულო დანიელო!“ (იოსელიანი, 1972: 179).
3. „დანიელმა პირჯვარი გადაიწერა: - ღმერთო, ძლიერო!“ (იოსელიანი, 1972: 226).
4. „ოო, მშვენიერო თეთრო მთაო!“ (იოსელიანი, V, 2011: 345).
5. „გაგვიჭირდება, მწვერვალების მბრძანებელო!...“ (იოსელიანი, 1981: 10).

ოტია იოსელიანის შემოქმედებაში, ზოგჯერ, მიმართვის ფორმებს წინ უძღვის მეორე პირის ნაცვალსახელები დიალექტური ფორმით (შე, თქვე / შდრ. შენ, თქვენ). ლეო კვაჭაძის აზრით, „ცალკე ეს ნაცვალსახელები მიმართვის როლში იშვიათად გვხვდება, უფრო ხშირად მათ თან ახლავს მიმყოლი სიტყვები, რომლებიც იძლევიან მისამართი პირის თვისებრივ დახასიათებას. ნაცვალსახელებს ჩვეულებრივ ჩამოშორებული აქვს ნ. ასეთი მიმართვა სასაუბრო მეტყველებისთვის არის დამახასიათებელი და ატარებს შინაურულობის, ზოგჯერ უხეშობის ელფერს“ (კვაჭაძე, 1988: 286). ჩვენ მიერ მოძიებულ მაგალითებშიც დასტურდება მსგავსი შემთხვევები. მაგალითად:

1. „შე ძველთაძველო, მოღალატევ, შენ ჩვენი მამა არა ხარ?!“ (იოსელიანი, V, 2011: 261).
2. „- ვახო! - მიაყვირა თუთარმა, - ფრთხილად, შე გამოთაყვანებულო!“ (იოსელიანი, 1972: 186).
3. „მამამთილს რომ დაენახა, შე დაკარგულო, მერე რა პასუხს აძლევდი დარიას?!“ (იოსელიანი, 1965: 88).

4. „არა, შე უბედურო, სულ გაგციებია შუბლი ამ დაფშუტულ კერიასთან“ (ოსელიანი, V, 2011: 141).
5. „- შენა ხარ ჩემი თეკლა, შე უღმერთო!..“ (ოსელიანი, 1965: 170).
6. „- ქორწილი შემოდგომაზე გადაიხადე, შე მამაცხონებულო, არ გამიგონია ამ გახურებული მუშაობის დროს ქორწილობიე...“ (ოსელიანი, 1965: 104).
7. „მინც დამლუპეთ, თქვე უღმერთოებო...“ (ოსელიანი, V, 2011: 6).
8. „შენ რა გჭირს, შე ჭირგასაჩენო, სნეული ხარ თუ უსახლკარო“ (ოსელიანი, V, 2011: 5).
9. „კიმოთე, აუ, შე ჭკუის კოლოფო, შეჭამე სანამ დროა...“ (ოსელიანი, V, 2011: 159).
10. „, იოველ, რატომ დაგვხოცე, შე ოჯახაშენებულო...“ (ოსელიანი, V, 2011: 41).
11. „- ციც! - ვუჯავრდები წყნარად, - ციც, შე შეჩვენებულო, არ გაბედო, არ გააღვიძო, არ დაუფრთხო ძილი!“ (ოსელიანი, 1965: 24).

ქართულ ენაში „მიმართვა, როგორც წესი, ბრძანებითა და კითხვით წინადადებებში გვხვდება (ძალიან იშვიათად - თხრობითშიც). კითხვით წინადადებებშიც შეიძლება ვივარაუდოთ შესაბამისი ბრძანებითი წინადადებები“ (კეკელია, დავითიანი, 1981: 320). თუმცა, ჩვენ მიერ მოძიებულ მაგალითებში მიმართვა დასტურდება, როგორც კითხვითსა და ბრძანებით წინადადებებში, ასევე, თხრობითსა და კითხვა-მახილის წინადადებებშიც. ოტია ოსელიანის შემოქმედებაში მიმართვის ფორმები საკმაოდ ხშირად გვხვდება თხრობით წინადადებებშიც, იმის მიუხედავად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ის იშვიათად გვხვდება თხრობით წინადადებაში. ასევე, ხშირია მიმართვის ფორმები კითხვა-მახილის წინადადებაშიც. მიმართვის ფორმები გვხვდება, მაგალითად:

ა) კითხვით წინადადებაში:

1. „რას აპირებ, ლუკაია, რატომ შეაჩერე ურემი?“ (ოსელიანი, 1965: 96).
2. „- ჰანს, ავი იქნება, არა?“ (ოსელიანი, 1972: 172).
3. „- შენ ხომ წამოხვალ ჩემთან, თაჯი? (ოსელიანი, 1972: 233).

ბ) ბრძანებით წინადადებაში:

1. „- რა მიქენი, სერაფიონ!.. დამლუპე, ამომავდე!“ (ოსელიანი, 1965: 36).

2. „**ჰელენ**, შენ გეცოდინებოდა ყველაზე ერთგული სიყვარული!“ (ოსელიანი, V, 2011: 182).
3. „- ეშმაკს ნუ დასდევ, **შე უჯილაგო!**“ (ოსელიანი, 1965: 264).
4. „**დიტო**, ამოიღე ხმა, **შე ენა გასაციებელო!**“ (ოსელიანი, V, 2011: 267).

გ) **თხრობით წინადადებაში:**

1. „**ღმერთო**, რა ბედნიერი იქნებოდა კლდისა იმ დღიდან მაინც, ღამით სიზმრებს რომ ყველაფერი ისევ არ ჩაეშხამებინათ“ (ოსელიანი, 1981: 45).
2. „- ასე იყო, **ბიძია**, მე რომ ომიდან დავბრუნდი, მტერი და მოყვარე თვალებზე ხელს იფარებდა“ (ოსელიანი, 1981: 176).
3. „შენთან ყოფნა მთელ ქვეყანას გვირჩევნია, **დალი**“ (ოსელიანი, V, 2011: 333).
4. „თავჯდომარე იმიტომ ხარ, **ჩემო იოველ**, რომ წინ უნდა წაგვიძღვე მე და ჩემისთანებს“ (ოსელიანი, V, 2011: 15).
5. „- რა გინდა, **შე ქალო**, მაგ ბოვშთან, - გამომექომაგა ბებია...“ (ოსელიანი, 1965: 353).

დ) **კითხვა-ძახილის წინადადებაში:**

1. „**კაცო**, წევხარ, შე ჩემი ცოდვით სავსე?!“ (ოსელიანი, V, 2011: 4).
2. „**ორმოცდაექვსი წელია გიყურებ, კესარია**, არ გეცოდები, შე ქალო?!“ (ოსელიანი, V, 2011: 4).
3. „**კაცო**, ჩემი ნება არაა, სავა წავალ?!“ (ოსელიანი, V, 2011: 128).
4. „**შე თვალდავსებულო**, აქამდე არ იცოდი?!“ (ოსელიანი, V, 2011: 255).
5. „**მამა**, შე დენიკინის დროინდელი, აქ ამ ნაცარში გვტოვებდი?!“ (ოსელიანი, V, 2011: 72).

ოტია ოსელიანის შემოქმედებაში მიმართვის ფორმები ზოგჯერ მეორდება, რასაც თავისი დატვირთვა აქვს. ე. კომორიძის განმარტებით, „ფრაზას, რომელიც ერთი შეხედვით მხატვრულ ღირებულებას მოკლებულია, გამეორება სასურველი შინაარსით ტვირთავს, გამომხატველობითობას, ექსპრესიულობას ანიჭებს“ (კომორიძე, 1981: 35). ჩვენ მიერ მოძიებულ საილუსტრაციო მასალაშიც გვაქვს წინადადებები, სადაც მიმართვის ფორმები მეორდება. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, გამეორებული მიმართვის ფორმები წინადადებას მეტ ემოციას მატებს. მაგალითად:

1. „- კლავს, ბიჭო, ბიჭო, ბიჭო! - ისმოდა განუწყვეტლივ“ (ოსელიანი, 1972: 241).
2. „ლილე, ოი, ლილე! საგალობელი ვუთხრათ მზეს, იქნებ გადმოგვხედოს“ (ოსელიანი, V, 2011: 327).
3. „- ივლიანე, ივლიანე! - აგერ, მეორე ეზოდან აკაპასდა დედაკაცი...“ (ოსელიანი, 1965: 19).
4. „- ივლიტე, ივლიტე, არ დამკლა შენი ხელით“ (ოსელიანი, 1965: 114).
5. „- ბაჭუა, აქეთ, ბაჭუა!“ (ოსელიანი, 1965: 109).
6. „ღმერთო, რა სამოთხის ვარდებს აჭკნობენ, ღმერთო!..“ (ოსელიანი, V, 2011: 82).
7. „- ჟუჟუ, მაყვალი დაგჩხვლევს, ჟუჟუ! - ვეძახდი მე...“ (ოსელიანი, 1965: 55).
8. „- გოგიტა! - იყვირა ფატიმ, - გოგიტა, მეშინია!“ (ოსელიანი, 1965: 469).

ოტია ოსელიანის შემოქმედებაში მიმართვა ინტონაციურად მრავალფეროვანია. პერსონაჟები მას იყენებენ შორს მანძილზე დამახებისთვის ან მისამართი პირის ყურადღების მისაპყრობად. მაგალითად:

1. „- გუა! - ზევით აახედა თუთარმა, აი, იქ ეკიდა“ (ოსელიანი, 1972: 229).
2. „- მაკა, შვილო! - პალატის კარებიდან ხელეგამლილი დედა გამოეგება...“ (ოსელიანი, 1972: 333).
3. „- სიოშ! - მოისმა ზურგს უკან მუდართით“ (ოსელიანი, 1972: 167).
4. „- ივლიანე, ივლიანე! - აგერ, მეორე ეზოდან აკაპასდა დედაკაცი, - გამოდი, შე კაცო, გარე!“ (ოსელიანი, 1965: 19).
5. „- სიოშ! - ჩასძახეს ბიჭებმა“ (ოსელიანი, 1972: 183).
6. „- ეჭეი, ეჭეი, ხალხო, სოფელო, ქვეყანავ, სიცოცხლე, სიცოცხლე გაჩნდა აქ, ამ ჩემს სახლში, ჩემს სახურავქვეშ“ (ოსელიანი, 1965: 23).
7. „- თუთარ! - არ უპასუხეს, მაგრამ სიოშმა იცოდა, ვისაც ეუბნებოდა, კარგად ესმოდა“ (ოსელიანი, 1972: 167).

ქართულ ენაში „მიმართვა სხვა სიტყვებისგან გამოიყოფა მძიმით (მძიმეებით), მახილის ნიშნით“ (ფეიქრიშვილი, 1996: 218). ოტია ოსელიანიც თავის შემოქმედებაში იცავს მართლწერის ამ წესს. მაგალითისთვის მოვიყვანთ რამდენიმე წინადადებას:

1. „- პაულუ, ასე რომ მისტირი მეგობარს, რამდენს მოუკალი მეგობარი?“ (ოსელიანი, 1972: 244).

2. „- დაჯექი, **ბიჭო!** - შეაღვიძა, ავტომატი მკლავზე გადაიღო, მაზარა მოიხურა და თვითონაც ჩამოჯდა“ (იოსელიანი, 1972: 214).

მწერლის შემოქმედებაში მიმართვის ზოგიერთი ფორმა წარმოდგენილია დიალექტური სახით. ოტია იოსელიანი დიალექტურ მასალას შესანიშნავად იყენებს პერსონაჟების განცდებისა თუ შეხედულებების გადმოსაცემად. მისი საშუალებით ნაწარმოებებში იგრძნობა იმერული კოლორიტი. მაგალითად, ჩვენ მიერ მოპოვებულ მაგალითებში, საკუთარ სახელთა მიმართვა ზოგჯერ იმ ფორმითაა წარმოდგენილი, რომელიც არ არის მიღებული სალიტერატურო ქართულისთვის და რაც, მხოლოდ დიალექტში იკვეთება. მაგალითად:

1. „**ძამია**, რავა გიკითხო, შე აბდალო!“ (იოსელიანი, V, 2011: 76).

2. „**ეზეკი ბიძიე**, მახსოვს, თაფლაკვერს მოგვიტანდა!“ (იოსელიანი, V, 2011: 266).

3. „- **შვილო, ჩემო ძამია**, შვილია და დედისათვის რა ცეცხლი და ნავთია, ვინ იცის“ (იოსელიანი, 1965: 241).

4. „რას აპირებ, **ლუკაია**, რატომ შეაჩერე ურემი?“ (იოსელიანი, 1965: 96).

5. „გენაცვალე, **ბუხუტია**, სულში, კაცი შენ ყოფილხარ და არ მცოდნია!“ (იოსელიანი, V, 2011: 55).

ძალიან საინტერესოა, როდის ჩნდება დიალექტური ფორმები (მაგ.: მიმართვის) პერსონაჟთა მეტყველებაში. გ. გოგოლაშვილის მოსაზრებით, „თუ ორი პერსონაჟი ერთმანეთისათვის უცხოა, სანამ უშინაურდებიან ერთიმეორეს, მათი დიალოგი სალიტერატურო ქართულს მისდევს. როგორც კი მათ შორის უცხოობის ჯგბირი მოიხსნება, გადაილახება - დიალოგშიც შემოიჭრება იმერიზმები“ (გოგოლაშვილი, 2019: 41). ოტია იოსელიანის შემოქმედებაზე დაკვირვებაც ამ დასკვნის გაკეთების საშუალებას გვაძლევს. მიმართვის დიალექტური ფორმები იმ დიალოგში გვხვდება, რომლის მონაწილეებსაც აქვთ შინაურული, მეგობრული ურთიერთობა. მწერალი ხალხურ მეტყველებას იყენებს იმისათვის, რომ შექმნას იმერული კოლორიტი და პერსონაჟებს შორის თბილი ურთიერთობა. ი. კიკნაძის განმარტებით, „პერსონაჟის მეტყველებაში დიალექტიზმებს სტილური დატვირთვა აქვთ, ავტორის მეტყველებაში - არა, თუმცა ორსავე შემთხვევაში დიალექტიზმები მწერლის ენის განმსაზღვრელია“ (კიკნაძე, 1989: 175). ოტია იოსელიანის შემოქმედებიდან ჩვენ მიერ მოძიებულ მაგალითებზე

დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ დიალექტიზმები უმეტესად გვხვდება პერსონაჟთა მეტყველებაში. ამით მწერალს სურს გვიჩვენოს პერსონაჟი რომელი კუთხის წარმომადგენელია.

ქართულ ენაში მიმართვის ასეთი ფორმების არსებობა ძალიან მნიშვნელოვანია. ა. არაბულის მოსაზრებით, „დიალექტების სიცოცხლე და სიჯანსაღე სალიტერატურო ენის არსებობისა და განვითარების ერთ-ერთი ძირითადი წინაპირობაა“ (არაბული, 1983: 37).

ბ. ჯორბენაძის მოსაზრებით, „მწერლის მიზანია შექმნას მხატვრული სახე, გაასაგნობრივოს გარკვეული აზრი, შექმნას გარკვეული განწყობა, კოლორიტი და მას სრული უფლება აქვს ამ მიზნით გამოიყენოს ამა თუ იმ ენის ნებისმიერი შესაძლებლობა“ (ჯორბენაძე, 1983: 30). ამ თვალსაზრისიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ოტია იოსელიანიც, თავისი სამწერლობო მიზნიდან გამომდინარე, იყენებს დიალექტურ მასალას ნაწარმოებებში, ამ შემთხვევაში კი ის გამოვლინდა მიმართვის ფორმებში.

ამდენად, როგორც ზემოთ აღნიშნული მაგალითებიდან ჩანს, მიმართვა, ოტია იოსელიანის შემოქმედებაში, ძალიან საინტერესო ასპექტებით ჩნდება. გამოიკვეთა დიალექტური ფორმები (**ძამია, ბუბუტია, ეზეკი ბიძიე, ლუკაია, ბექნუ**). ასევე, მრავალფეროვანი მაგალითებია წარმოდგენილი მიმართვის როლში მდგარი მეორე პირის რიცხვითი სახელებისა (**თქვე უღმერთოებო, შე დაკარგულო, შე ძველთაძველო, შე ქალო...**), რომელთაც არსებითი სახელის ფუნქცია აქვს. მიმართვის ასეთ ფორმებშიც გვხვდება დიალექტური მასალა (**შე თვალდავსებულო, შე ენა გასაციებულო, შე დენიკინის დროინდულო, შე გაულუნავო ბერიკაცო, შე აბდალო**). ჩვენ მიერ მოძიებულ მაგალითებში მიმართვა დასტურდება, როგორც კითხვითსა და ბრძანებით წინადადებებში, ასევე, თხრობითსა და კითხვა-მახილის წინადადებებშიც. მწერალი ხშირად იყენებს მიმართვას თხრობით წინადადებებშიც, მიუხედავად იმისა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ქართულში მიმართვის ფორმები თხრობით წინადადებაში იშვიათია. ამ მხრივ, ოტია იოსელიანის შემოქმედება გამონაკლისია.

3.2. ჩართული

ნ. ცქიტიშვილის განმარტებით, „თუ სიტყვა ჩართულია, იგი აუცილებლად მთელ წინადადებას მიემართება და ლოგიკურ - სემანტიკურად წინადადების ღერძს - ზმნა - შემასმენელს უკავშირდება. ინტონაციურად იგი დამოუკიდებელია - მცირე პაუზით გამოეყოფა მთელ წინადადებას, იქნება ეს სიტყვა წინადადების თავში, შუაში თუ ბოლოში“ (ცქიტიშვილი, 1988: 250).

ჩართული სიტყვები ხშირად გვხვდება ოტია იოსელიანის შემოქმედებაში. ჩვენ მიერ მოძიებულ მაგალითებში ასეთი სიტყვები ფუნქციისა და მნიშვნელობის მიხედვით მრავალფეროვანია. მაგალითად:

ა) ჩართული სიტყვა შემდეგ წინადადებებში გვიჩვენებს, რომ მთქმელი დარწმუნებულია ნათქვამის უეჭველობაში:

1. „**მართალია**, ფანტასტიკურ წიგნებს ვკითხულობდი, მაგრამ არასოდეს არც დედამიწის გულში მიძებნია რაიმე და არც ზეცის უსასრულობაში“ (იოსელიანი, 1965: 15).
1. „**მე, რასაკვირველია**, აღარ დამიყოვნებია და როცა უკან გზას დავადექი, დაგუდული სიხარულის ბოლმიანი ღიღინი წამოვიწყე“ (იოსელიანი, 1965:130).
2. „**ტრაქტორისტიც მზეს**, მთვარეს და ადამიანობას ჰფიცავდა, დედა ერთხელაც არ დაუფიცია და ისე, **რა თქმა უნდა**, ციციზარ არ დაიჯერებდა“ (იოსელიანი, 1965: 230).
3. „**არა, მართლაც**, არ გამოუვიდა კარგად“ (იოსელიანი, 1972: 392).
4. „**ჭკმმარიტად**, ქალი ყველა სიმადლის სიმბოლოა“ (იოსელიანი, V, 2011: 333).
5. „**მონადირე, რაღა თქმა უნდა**, უკან ხელცარიელი არ დაბრუნებულა“ (იოსელიანი, 1981: 37).
6. „**მწვერვალებზე, რა თქმა უნდა**, ისევ თოვლი იდო...“ (იოსელიანი, 1981: 70).
7. „**ბოლოს, მართლაც**, მალე გამორდნენ ერთმანეთს...“ (იოსელიანი, 1972: 453).
8. „**ახლა რაღა თქმა უნდა**, ბევრი სახლის საკვამურებში ბელურები იშენებდნენ ბუდეებს...“ (იოსელიანი, 1981: 165).
9. „**მართალია**, უკან დასახევ გზას მე გიკეტავ, მაგრამ შენც ასევე არ მაძლევ მე საშველს, ქვევით ჩამოვხობდე...“ (იოსელიანი, 1981: 8).

10. „ორლობეში გზა მოუხრეშავი იყო და ავდრიანში ღიბრაძეების სტუმრობა, მართლაც, ჭირდა“ (ოსელიანი, 1972: 514).
 11. „მთვარე, ალბათ, ღრუბლებში დაიმალა და ისევ ჩამოხნელდა“ (ოსელიანი, 1972: 238).
- ბ) ოტია ოსელიანის შემოქმედებიდან მოძიებულ შემდეგ წინადადებებში, ჩართული გამოხატავს მთქმელის ვარაუდს. მაგალითად:
1. „ქალიშვილს ხელიდან გაუვარდა თავსაფარი, შევარდა ოთახში და მე გავიგონე, როგორ ქვითინებდა, ალბათ, ბალიშებზე დამხობილი“ (ოსელიანი, 1965: 14).
 2. „უკვე მალე დადამდებოდა და გერმანელები, ალბათ, ისევ ეცდებოდნენ თავის დაღწევას“ (ოსელიანი, 1972: 232).
 3. „ალბათ, იმ ალქაჯმა ტყვე გოგომაც კი აპატია, მაქსმა სახეში რომ სთხლიშა“ (ოსელიანი, 1972: 224).
 4. „ყოველ შემთხვევაში, მე მგონია, არ ვეკუთვნი, არაფერს ბევრს არ მოვითხოვ“ (ოსელიანი, 1981: 234).
 5. „გუა, მე ვფიქრობ, არაა მართალი, რომ ქალი ღმერთმა ადამის ნეკნისაგან შექმნა“ (ოსელიანი, V, 2011: 322).
 6. „ავად ქეა და რომ მოკვდება, მე მგონი, მერე პროფესორიც ვერაფერს უშველის!“ (ოსელიანი, V, 2011: 62).
 7. „მე მგონია, ეს მასპინძლებსაც არ უნდა ეწყინოთ“ (ოსელიანი, V, 2011: 321).
- გ) აქ დასახელებულ წინადადებებში ჩართული გვიჩვენებს ვის ეკუთვნის წინადადებაში გამოთქმული აზრი. მაგალითად:
1. „მეწინავეს აზრით, ეს იყო ყველაზე უკეთესი, რისი გაკეთებაც ახლა მოხერხდებოდა - ხუთიდან ორი მაინც გადაერჩინა“ (ოსელიანი, 1972: 167).
 2. „ამბობენ, დალის არ უყვარსო ასეთი ლაპარაკი“ (ოსელიანი, V, 2011: 348).
 3. „ან მართლა ღმერთი თუ იყო ცაზე, როგორც ბებია ამბობდა, რატომ დაიწყეს ომი და რატომ გაჩნდა ქვეყანაზე კლიმენტია ცეტერაძე?...“ (ოსელიანი, 1965: 359).
 4. „ისევ მინდოდა რაღაც მეთქვა, რადგან ასე ცოტა მოკითხვა, ჩემი აზრით, არ კმაროდა...“ (ოსელიანი, 1965: 371).

დ) ჩვენ მიერ მოპოვებულ მაგალითებში დასტურდება ისეთი შემთხვევებიც, როცა ჩართული გამოხატავს მიმართვას თანამოსაუბრისადმი. მაგალითად:

1. „**თქვენ წარმოიდგინეთ**, მე იმ დღეს ავდექი, კიდეც და დერეფანში დავიწყე სეირნობა“ (ოსელიანი, 1965: 196).
2. „**ყოყლოჩინობა, მოგეხსენებათ**, პატივმოყვარეთა ხვედრია“ (ოსელიანი, 1981: 78).
3. „**დრო, მოგეხსენებათ**, აულაგმავი ბედაურივით მიჭენაობს“ (ოსელიანი, 1981: 140).

ე) მწერლის შემოქმედებაში ყველაზე ხშირად გვხვდება ის ჩართული სიტყვები, რომლებიც გვიჩვენებს აზრის თანამიმდევრობას, დასკვნას, შედეგს, დაპირისპირებას. მაგალითად:

1. „**ერთი ცხელი საუზმე** კიდეც არ აგცდება და, **ერთი სიტყვით**, დროს როგორმე მოკლავ, მოკლავ და არც ისე უაზროდ მოკლავ“ (ოსელიანი, 1965: 143).
2. „**პირიქით**, ახლა ღრმად ჩასუნთქვისაც მეშინოდა“ (ოსელიანი, 1965: 452).
3. „ეს მე ვიცი და ყოველთვის ვუშოვი დასალევს, **მით უმეტეს**, თუ სახლში არავინაა“ (ოსელიანი, 1965: 150).
4. „**ჯერ ერთი**, ძალზე უტეხი ხასიათისა ვარ, **მეორეც**, მეგონა, წამალს თუ არ დავლევ უკეთესად ვიქნები-მეთქი...“ (ოსელიანი, 1965: 198).
5. „**დავინახე** ისე, **სხვათაშორის**, რადგან ყველას უნდოდა დაენახა“ (ოსელიანი, 1965: 318).
6. „- ომი გვაქვს, **მაშასადამე**, მტერს ვებრძვით, ასე კი არ ვარგა, ბიძია!“ (ოსელიანი, 1965: 344).
7. „**ერთი რომ**, მეთაურის ჯანმრთელობა უარესდებოდა, **მეორეც**, არავინ იცოდა, ვის ებრძოდნენ“ (ოსელიანი, 1972: 235).
8. „**საერთოდ**, მას გაკვეთილი გრძელი ეჩვენებოდა“ (ოსელიანი, 1972: 306).
9. „არ აგონდებოდა, რომ ბიჭიკო, **საერთოდ**, არავის უჯერებს, თავქეიფაა და დისგანაც მოითხოვს დათმობას“ (ოსელიანი, 1972: 331).
10. „**ალბათ**, დედას ჩაემინა, **ბოლოს და ბოლოს**“ (ოსელიანი, 1965: 360).
11. „**ბოლოს და ბოლოს**, რასაც მე მივაღწიე, ესაა, რომ შემძლია ვიტყვო და მერე ერთგვარი შვება ვიგრძნო“ (ოსელიანი, 1972: 516).

12. „მე, მაგალითად... რას მიკეთებენ იმდენი ნაცნობ - მეგობრები“ (ოსელიანი, V, 2011: 89).
 13. „აქედან გამომდინარე, პილასი, უნდა გაეცალო აქაურობას!“ (ოსელიანი, V, 2011: 174).
 14. „მაშასადამე, დღეს ავდექი და ბატონის ქალი მოვიტაცე, ესე იგი, მე მალაქია არა ვარ“ (ოსელიანი, V, 2011: 176).
 15. „ნინელი, ბოლოს და ბოლოს, მორჩი ამ გადიობას და მოემზადე“ (ოსელიანი, V, 2011: 122).
 16. „რევოლუცია, მაშასადამე, ეს არის დიდი ბუნტი!“ (ოსელიანი, V, 2011: 153).
 17. „კიმოთე ჭკვიანია, აქედან გამომდინარე... თავისთვისაა ჭკვიანი და მე ვიცი, რაც მისთვის კარგია, ალბათ, ერთობისთვის არ გამოდგება...“ (ოსელიანი, V, 2011: 171-172).
 18. „ესე იგი, მე რო რევოლუცია ვარ, არა ვარ დამნაშავე...“ (ოსელიანი, V, 2011: 199).
 19. „ჰო, დავჯდეთ, ესე იგი, აქ და ნაცარი ვქექოთ ჩვენ შენი?!“ (ოსელიანი, V, 2011: 267).
 20. „საერთოდ, პარტახდება სოფელი, ბერწდება მიწა“ (ოსელიანი, V, 2011: 268).
 21. „გახსენი ბოლოს და ბოლოს, ნუ გააწყალე გული!“ (ოსელიანი, V, 2011: 306).
 22. „ესე იგი, მე ნამეტანი დავიბენი“ (ოსელიანი, V, 2011: 171).
- ვ) ჟ. ფეიქრიშვილის მოსაზრებით, „ჩართულია აგრეთვე საალერსო სიტყვა-გამოთქმები და ზოგიერთი ფიცილის ფორმულა, რომელთაც შორისდებულის მნიშვნელობა აქვს“ (ფეიქრიშვილი, 1996: 221). ასეთი მაგალითებიც გვხვდება ოტია ოსელიანის შემოქმედებაში:
1. „- არა, იპოლიტე ბიძია, **შენი ჭირიმე**, არაფერი არ მწყენია, შენი დიდი მადლობელი ვარ...“ (ოსელიანი, 1965: 140).
 2. „-ერთი, **გენაცვალე**, დეპეშა მიიღეთ! - მივვარდი სადგურის საფოსტო განყოფილებაში“ (ოსელიანი, 1965: 157).
 3. „- **შენ შემოგველე**, არაფერი უსაყვედურო, ხომ იცი მისი მდგომარეობა“ (ოსელიანი, 1972: 408).

4. „**დედა ენაცვალოს**, ბიჭიმ გამოიყვანაო, - ამბობდა ოლა და შავ აპარატს თავსაფრით წმენდდა“ (ოსელიანი, 1972: 401).
5. „- მერი, **გენაცვალე**, ბავშვმა თუ გაიღვიძოს, დამიძახე!“ (ოსელიანი, 1972: 424).
6. „- რა სალაპარაკოა, მარგო, **გენაცვალე**, ძმისთვის ყველა კი ეცდება, შენ მითხარი, სხვისთვის რას ვაკეთებთ“ (ოსელიანი, 1972: 433).
7. „**მოდი**, მამიდა, **მოდი**, **შენ გენაცვალე**, **მოდი ჩემთან**“ (ოსელიანი, 1972: 505).
8. „**მამა**, **შენი ჭირიმე**, ღმერთმა ნუ მომასწროს თქვენს გაჭირვებას!“ (ოსელიანი, V, 2011: 18).
9. „**მოდი**, **კოკი**, **გენაცვალე**, ახლა შენ მოდი!“ (ოსელიანი, V, 2011: 48).
10. „**დედა**, **დედა**, **შენი ჭირიმე!**“ (ოსელიანი, V, 2011: 58).
11. „**ეჰ**, **შენი ჭირიმე**, ხუთი კი არა, ერთი ყოფილიყო...“ (ოსელიანი, V, 2011: 106).

ნელი ცქიტიშვილის განმარტებით, „ჩართულის ფუნქციით შეიძლება შეგვხვდეს: ა) ზმნის პირიანი ფორმები - დამოუკიდებლად; ბ) შედგენილი შემასმენლის ფორმის მქონე გამოთქმები; გ) აღნიშნული ფორმებით შედგენილი შესიტყვებები და ფრაზეოლოგიური გამოთქმები“ (ცქიტიშვილი, 1988: 263). აქვე ასახელებს რამდენიმე ასეთ მაგალითს: მგონია, რა (ღა) თქმა უნდა, მართალია, მგონია (მგონი) და სხვ. ჩართულის ფუნქციით გამოყენებული აღნიშნული ფორმები დასტურდება ოტია იოსელიანის შემოქმედებაშიც. მაგალითად:

1. „**მართალია**, ჩემო რძალო, ახლა ყველაფერი გვიანაა“ (ოსელიანი, V, 2011: 253).
2. „**მართალია**, ცარიელი ჭკუის კოლოფი ხარ, როსტომ“ (ოსელიანი, V, 2011: 321).
3. „- **მე მგონი**, ქალები არ იყვნენ, ესენი არც განძრეულან...“ (ოსელიანი, 1972: 192).
4. „**მე მგონია**, ეს მასპინძლებსაც არ უნდა ეწყინოთ“ (ოსელიანი, V, 2011: 321).
5. „**რა თქმა უნდა**, არასოდეს არ ღირდა მათზე ლაპარაკი“ (ოსელიანი, V, 2011: 91).
6. „**ახლა რაღა თქმა უნდა**, ბევრი სახლის საკვამურებში ბედურები იშენებდნენ ბუდეებს...“ (ოსელიანი, 1981: 165).

როგორც ვიცით, „ჩართული სიტყვა და წინადადება სხვა სიტყვებისაგან გამოიყოფა მძიმით (მძიმეებით), ზოგჯერ - ფრჩხილებითა და ტირეთიც“ (ფეიქრიშვილი, 1996: 222). ეს წესი, ხშირ შემთხვევაში, დაცულია ოტია იოსელიანის

შემოქმედებაში. თუმცა, გამონაკლისებიც გვაქვს, სადაც მწერალი არ იყენებს ჩართულ სიტყვასთან სასვენ ნიშანს. მაგალითად:

1. „**ბოლოს და ბოლოს** კლდისა უძილობამ რომ გააწამა, გულში აღარ დაეტია და თეთრ თიკანს საიდუმლო გაანდო...“ (ოსელიანი, 1981: 47).
2. „და **ბოლოსდაბოლოს** შენ ხომ ჩემთვის გაჩნდი ამ ქვეყნად...“ (ოსელიანი, 1981: 18).
3. „პირიბეს **აღბათ** თბილად სძინავს, მაგრამ თუ ის საერთოდ ჩემზე რაიმე სასიკეთოს ფიქრობს, სიზმარში მე და შენ უნდა გვიხილოს...“ (ოსელიანი, 1981: 24).
4. „**აღბათ** ასეთი სასწაულები ქმნიდნენ აქაურ ღმერთებს და ქალღმერთებს...“ (ოსელიანი, 1981: 36).
5. „**აღბათ** მისამართი შეეშალათ, ფოსტაში ხდება ამისთანა ამბავი“ (ოსელიანი, V, 2011: 24).
6. „**მაგალითად** ჩემს წინა მერხზე რომ ზის სოფიკო მშვენიერი გოგოა და, ვთქვათ, მიიღოს ასეთი წერილი, მარა რა იცი, ქალია მაინც“ (ოსელიანი, 1965:148).
- ნ. ცქიტიშვილის მოსაზრებით, „ჩართულით ხაზგასმულია, რომ სიტყვა (ან ფრაზა) იცვლება, რათა უკეთ დახასიათდეს მოვლენა; აზრს მიეცეს მეტი სიღრმე და ზემოქმედების ძალა (ამ ჩართულის შემცველი ფრაზები ძირითადად შეგონებებია)“ (ცქიტიშვილი, 1989: 74).

ამდენად, ჩართული სიტყვები შედარებით იშვიათია ოტია იოსელიანის დრამატულ თხულებებში. მწერლის ტექსტს პიესაში გაცილებით ნაკლები ადგილი უკავია, ვიდრე პერსონაჟებისას. მწერალს განკერძოებული სიტყვები ეხმარება თავიდან აიცილოს სიტყვათა გამეორება და აზრი გახადოს უფრო სხარტი და ლაკონური. მწერალი არ ერევა პერსონაჟთა მეტყველებაში. შ. ძიძიგურის მოსაზრებით, „პერსონაჟის ენა ცოცხალი მეტყველების ანარეკლი უნდა იყოს“ (ძიძიგური, 1957: 14). სწორედ ასეთი „ცოცხალია“ ოტია იოსელიანის პერსონაჟთა მეტყველება. ჩართული სიტყვები მრავალფეროვანია მწერლის შემოქმედებაში და სხვადასხვა ფუნქცია აქვს. ამავე დროს, ჩვენ მიერ მოპოვებულ მაგალითებში, დასტურდება სასვენ ნიშანთა დარღვევის

შემთხვევები, რომლებიც ზემოთ არის აღნიშნული. ეს ფაქტი კი მიგვანიშნებს მწერლის სამწერლობო სტილზე.

3.3. შორისდებული

ჟ. ფეიქრიშვილის განმარტებით, „შორისდებული განკერძოებული სიტყვაა. იგი სხვა წევრებისაგან გამოყოფილია, განკერძოებით დგას. შორისდებული უშუალოდ გამოხატავს ადამიანის გრძნობასა და ნება-სურვილს, თავისი დანიშნულებით იგი წინადადების ბადალია, დამახასიათებელია სასაუბრო ენისათვის“ (ფეიქრიშვილი, 1996: 224).

აკაკი შანიძე შინაარსის მიხედვით გამოყოფს შორისდებულთა შემდეგი სახის ჯგუფებს: ა) „შორისდებულები, რომლებიც ამა თუ იმ გრძნობის გამოძახილს წარმოადგენენ; ბ) შორისდებულები, რომლებიც მოუბრის ნება-სურვილის ამსახველებია და, უკანასკნელ, გ) შორისდებულები, რომლებიც გამოხატავენ ფიცილს, ალერსს და სხვ“ (შანიძე, 1973: 622).

ოტია იოსელიანის შემოქმედებაში შორისდებული მრავალფეროვანია. მწერალი შორისდებულის საშუალებით გვიჩვენებს პერსონაჟის სულიერ სამყაროს, რას გრძნობს და რას განიცდის. ამიტომ, მწერალი მათ საგანგებოდ არჩევს. ოტია იოსელიანის შემოქმედებაში, ჩვენ მიერ მოძიებულ მაგალითებში, დასტურდება სხვადასხვა გრძნობის გამომხატველი შორისდებული. მაგალითად:

ა) სიხარულის გამომხატველი:

1. „- ოჰ, როგორ მიყვარს!“ (იოსელიანი, 1972: 420)
2. „აჰა, გამოჩნდა ფერდობი, ოდა, ოთახი, ფანჯარა...“ (იოსელიანი, 1965: 11).
3. „- ჰე, ჰე, - ისევ ჩაიცინა მოხუცმა...“ (იოსელიანი, 1965: 27).
4. „- აჰ, არა საქმეზე მეჩქარება!“ (იოსელიანი, 1965: 106).
5. „უჰ, არ ამოისუნთქა!..“ (იოსელიანი, 1972: 251).
6. „აჰ, ძალიან კი მასახელე ამას წინათ...“ (იოსელიანი, 1965: 329).
7. „ვაჰა! უკეთესადაა! ...“ (იოსელიანი, 1965: 165).

8. „ოჰ, დალი, რანაირი გოგო ხარ, დალი!“ (ოსელიანი, V, 2011: 309).

ბ) გამოხატავს მწუხარებას, დარდს:

1. „-აჰ, გლერტა არ ივარგებს, ვენახში შეიჭრება...“ (ოსელიანი, 1965: 17).

2. „- აჰ, არ აპირებს გამოდარებას? - ბუხუნა ხმით იკითხა მან და მუგუზლით ნაცარი გაქექა“ (ოსელიანი, 1965: 26).

3. „ოჰ, როგორ არ მინდოდა, - მაკამ თავი მოაბრუნა, იქნებ ექთანიაო და ადგომას არ აპირებდა“ (ოსელიანი, 1972: 380).

4. „უჰ, ღმერთმა ნუ ქნას, აქ ძალზე ზუსტად ისვრიან...“ (ოსელიანი, 1972: 238).

5. „- ვაიმე, შე ბედდამწვარო! - ამოიგმინა დედამ...“ (ოსელიანი, 1965: 431).

6. „- ვაიმე, მიშველეთ! კრამიტი ცვივა სახურავიდან, უკანა ფარდა სულ ჩამოცლილა, გენო ვერც კი ამჩნევს!“ (ოსელიანი, 1972: 403).

7. „უჰ, მამა, წვრილად მაინც დაასხი, გავიყინე!“ (ოსელიანი, V, 2011: 48).

8. „ვაიმე, სულ თავგზა ამიბნია... მითხარი რა ვქნა“ (ოსელიანი, V, 2011: 119).

9. „- ვაი... - აღმოხდა უნებურად ქალიშვილს“ (ოსელიანი, 1965: 181).

10. „- ეჰ, შენ რა იცი, მე ჩემთვის რამდენ რამეს ვამბობ“ (ოსელიანი, 1972: 353).

11. „- ეჰ, - ამოიხვნეშა ბიჭის დედამ, - უბედურების მეტი რაა“ (ოსელიანი, 1965: 241).

12. „ოჰ, მართლა ანგელოზო, რა ბედნიერი ვარ, მე უბედური“ (ოსელიანი, V, 2011: 179).

13. „- ეჰ, დასწყევლა ღმერთმა ჩემი თავი, ვერ წამივიდა საქმე კარგად...“ (ოსელიანი, 1972: 539).

14. „ეჰ, დავიწყე მარა...“ (ოსელიანი, V, 2011: 52).

15. „ჰე, რა ძალდი იყო“ (ოსელიანი, 1965: 29).

16. „ეჰ, გადის სინათლე და უნდა გაჰყვეს!“ (ოსელიანი, 1972: 251).

17. „- ეჰ, ჩემო ციალა, წუთისოფლის გზა ფათერაკებითაა სავსე“ (ოსელიანი, 1972: 475).

18. „ეჰ, ბედი არ მაქვს, ბედი, თომა ბიძია! - ამოიოხრა გესლიანი ღიმილით“ (ოსელიანი, 1981: 199).

გ) შორისდებული, მოცემულ წინადადებებში, გამოხატავს წყენას, ნაღველს:

1. „- უჰ, ღმერთო ჩემო!“ (ოსელიანი, 1981: 154).
 2. „ოჰ ღმერთო, რომ დაიჩემებს და არ მოიშლის...“ (ოსელიანი, 1981: 271).
 3. „უჰ, მამა, შე ძველო პირში მთქმელო და ორლესულო ხანჯალო!“ (ოსელიანი, V, 2011: 252).
 4. „ეჰ, ცოდვილია წუთისოფელი“ (ოსელიანი, 1965: 201).
 5. „ეჰ, განა რაც შენ იცი, სხვაც დაგიჯერებს?“ (ოსელიანი, 1981: 174).
 6. „აჰ, არა, შვილებო, ნამეტანი ტალახივითაა ის თქვენი ახალი წისქვილის ნაფქვავი“ (ოსელიანი, V, 2011: 15-16)
 7. „ჰმ, - წაუღია, - დაასკვნა ბოლოს“ (ოსელიანი, 1965: 49).
 8. „ეჰ, სადღაა სიხარული, ჩემო ნინელი“(ოსელიანი, V, 2011: 80).
 9. „აჰ, მალაქია, რავა გწერს ის კაცი, არ გამოვა, ხომ!“ (ოსელიანი, V, 2011: 160).
- დ) შემდეგ წინადადებებში შორისდებულით გადმოცემულია გაკვირვება, გაოცება:
1. „- ოჰო! - აღმოხდა უცებ, როგორც კი ქალს სახეში შეხედა“ (ოსელიანი, 1972: 172).
 2. „- უი, რავა მოსწრებიხარ დედაშენს!...“ (ოსელიანი, 1965: 107).
 3. „- ოჰ, საიდან გამომეცხადე?!“ (ოსელიანი, 1972: 374).
 4. „აჰა, და ჰყოლია, ნეტავ ვინაა?“ (ოსელიანი, 1972: 430).
 5. „ვაჰ, ღმერთო, შენც გადაკრულში ხომ არ იყავი?...“ (ოსელიანი, V, 2011: 100).
 6. „უი, რავალი კაი ხალხი ყოფილა!..“ (ოსელიანი, V, 2011: 220).
 7. „ოჰ, ცაგო, შენც აქა ხარ?“ (ოსელიანი, V, 2011: 232).
 8. „უი, ხუთი წელი გავიდა...“ (ოსელიანი, V, 2011: 244).
 9. „- კლაუს, ოჰ, რა ცნობისმოყვარე ბალდი ხარ!“ (ოსელიანი, 1972: 174).
 10. „- აჰ, მითხრეს, აქაურობა მოგწონებია, ააჰ!“ (ოსელიანი, 1981: 75).
- ე) მოცემულ წინადადებებში, ოტია ოსელიანი შორისდებულის საშუალებით გვიჩვენებს, რომ პერსონაჟი გაბრაზებულია:
1. „- უჰ, ეს ოჯახქორი! - ამოილაპარაკა გენომ და მაკას შეხედა“ (ოსელიანი, 1972: 470).
 2. „უჰ, შე კერპო ბერიკაცო, არ მოეშვი ამ ხარს და ურემს!“ (ოსელიანი, V, 2011: 220).

3. „ოჰ, დიტო, შე კაცო!“ (ოსელიანი, V, 2011: 230).
 4. „უი, შე კაცო, რანაირი თქმა იცი...“ (ოსელიანი, V, 2011: 260).
 5. „ეჰ, შენისთანა მასპინძელი შევარცხვინე...“ (ოსელიანი, V, 2011: 339).
 6. „ოჰ, ნუ იცი, შე მამაგანათლებულო...“ (ოსელიანი, V, 2011: 6).
 7. „- აჰ, არ უნდა ვაჟბატონს, არა? - ახლა უკვე ხმამაღლა იკითხა და ფანჯარაში ბარძიმის თავიც კი გაარჩია...“ (ოსელიანი, 1965: 233).
 8. „აჰა, თქვენ ჯერ კიდევ არ იცით რას ნიშნავს ქალი!“ (ოსელიანი, V, 2011: 314).
 9. „ოჰ, ენამოსწრებულადაცაო, არ მითხრა“ (ოსელიანი, V, 2011: 85).
 10. „აჰ, არა! აშიყი და უკადრი რამე, რავა გეკადრებათ...“ (ოსელიანი, V, 2011: 220).
 11. „ოჰ, ეს სიცოცხლით გაუმადარი ქოფაკი!“ (ოსელიანი, V, 2011: 290).
 12. „ეუჰ! გვლუპავდი, მამაჩემო?!“ (ოსელიანი, V, 2011: 71).
- ვ) აქ დასახელებულ წინადადებებში გვხვდება შეცოდების, შებრალების გამომხატველი შორისდებულები:
1. „უი, დედა, ქალი გადმოვარდნილი არ იყოს ფანჯრიდან“ (ოსელიანი, V, 2011: 287).
 2. „ეეჰ, ამაზე ფიქრის დროა ახლა?“ (ოსელიანი, 1972: 468).
 3. „ეჰ, ბედია, ბედი, თორემ ბეკოს ცუდად არ დაუმიზნებია!“ (ოსელიანი, 1965: 171).
 4. „უი, ღმერთო, მომკალი, ახლავე გადავიცვამ“ (ოსელიანი, V, 2011: 107).
 5. „უი, ღმერთო, სული ამომწვალე, ჩვენთან ხართ და ჩემი კაცი გესაჭიროებათ“ (ო. ოსელიანი, V, 2011: 216).
- ოტია ოსელიანის შემოქმედებაში, ჩვენ მიერ მოძიებულ მაგალითებში, გვხვდება შორისდებულები - ეუჰ, - უუჰ, რომლებიც ორ შორისდებულს აერთიანებს. მაგალითად:
- ა) მწერალი, ქვემოთ დასახელებულ წინადადებებში, იყენებს - ეუჰ შორისდებულს, რომელშიც იგულისხმება ეჰ - უჰ შორისდებულები:
1. „ეუჰ! გვლუპავდი, მამაჩემო?!“ (ოსელიანი, V, 2011: 71).
 2. „ეუჰ, რა პირდაფჩენილი ხაჭაპური იცის მისმა ცოლმა, ფედოსიამ!“ (ოსელიანი, V, 2011: 144).

3. „**ეუჭ**, ეს რა ამბავია, კაცო!“ (ოსელიანი, V, 2011: 229).

4. „**ეუჭ!** ეს დიტოა, კაცო?“ (ოსელიანი, V, 2011: 259).

ბ) მოცემულ წინადადებაში - **ეუჭ** შორისდებული გულისხმობს **უჭ** - **უჭ** შორისდებულებს:

1. „- **უუჭ**, მაგი რომ გექნა, ხმას არ გაგცემდი“ (ოსელიანი, 1972: 480).

ო. გაჩეჩილაძის მოსაზრებით, „შორისდებულის მნიშვნელობის გადმოსაცემად მთავარია ტონი. ინტონაციური მრავალფეროვნებით ერთსა და იმავე შორისდებულს შეუძლია გამოხატოს სულ სხვადასხვა გრძნობა“ (გაჩეჩილაძე, 1990: 96). ეს, რა თქმა უნდა, დამოკიდებულია იმ წინადადების შინაარსზე, რომელშიც გვაქვს ეს შორისდებული. მაგალითად, სხვადასხვა გრძნობას გამოხატავს **ოჭ** შორისდებული შემდეგ წინადადებებში:

1. **აღტაცების გამოხატვა**: „- **ოჭ**, როგორ მიყვარს!“ (ოსელიანი, 1972: 420).

2. **მწუხარების**: „**ოჭ**, როგორ არ მინდოდა, - მაკამ თავი მოაბრუნა, იქნებ ექთანიაო და ადგომას არ აპირებდა“ (ოსელიანი, 1972: 380).

3. **გაკვირვების**: „- **ოჭ**, საიდან გამომეცხადე?!“ (ოსელიანი, 1972: 374).

4. **გაბრაზების**: „**ოჭ**, დიტო, შე კაცო!“ (ოსელიანი, V, 2011: 230).

ქართულში „წერის დროს შორისდებულის შემდეგ ვსვამთ მძიმეს ან ძახილის ნიშანს“ (ფეიქრიშვილი, 1996: 225) ოტია ოსელიანის შემოქმედებაშიც, ჩვენ მიერ დასახელებულ მაგალითებშიც, დაცულია ეს წესი.

ამდენად, შორისდებული ოტია ოსელიანის შემოქმედებაში ძალიან საინტერესოდ ვლინდება. როგორც ჩვენ მიერ მოპოვებული მაგალითებიდან ჩანს, მწერალი შორისდებულს იყენებს სხვადასხვა ემოციის გადმოსაცემად. ის ეხმარება მკითხველს პერსონაჟის ემოციის გაგებაში, თუმცა, ზოგჯერ ეს რთულდება; რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზოგიერთი შორისდებული ერთდროულად რამდენიმე ემოციას გამოხატავს, როგორც ეს მოხდა - **ოჭ** შორისდებულთან დაკავშირებით. ოტია ოსელიანის შემოქმედებაში შორისდებული უმეტესად გვხვდება პერსონაჟის მეტყველებაში, ავტორის მეტყველებაში შედარებით იშვიათია. შორისდებულის შემცველ ზოგიერთ წინადადებაში დასტურდება დიალექტური ფორმებიც (**რავა**, **რავალი კაი**, **პირდაფჩენილი**, **მაგი**), რაც კიდევ უფრო საინტერესოს ხდის წინადადებას.

3.4. მიგებითი ნაწილაკები

ლეო კვაჭაძის ცნობით, „მიგებითი ნაწილაკები დადასტურებითია ან უარყოფითი. დადასტურებითია: ჰო, კი, დიახ (დიალ). უარყოფითია: არა, ვერა. მიგებითი ნაწილაკები წინადადების მაგივრობას ეწვეიან და ამიტომ მათ ჩვეულებრივ „სიტყვა-წინადადებას“ ეძახიან (კვაჭაძე, 1988: 300).

ოტია იოსელიანის შემოქმედებაში მიგებითი ნაწილაკები დასტურდება დიალოგებში. ჩვენ მიერ მოძიებულ მაგალითებში, დადასტურებითი ნაწილაკები სხვადასხვა მნიშვნელობით გვხვდება. მაგალითად:

ა) დასახელებულ წინადადებებში დადასტურებითი შორისდებული გამოხატავს დასტურს დასმულ კითხვაზე. მაგალითად:

1. „ჩემზე ამბობს: ერთი თავიდან ფეხებამდე გამურული ბიჭია და... ჰო, ერთი გამურული ბიჭია და აქვს თეთრი, თეთრი კბილები“ (იოსელიანი, 1965: 14).
2. „- კარგად იცით ტარება? - ვიცი, ჰო!“ (იოსელიანი, 1965: 131).
3. „- მოჰკალით? -კი, ჰერ!“ (იოსელიანი, 1972: 200).
4. „- გავათავისუფლოთ?! - ჰო, არ ჰკითხე, რომ გავუშვათ, გზას მოგვცემენ თუ არა?“ (იოსელიანი, 1972: 210).
5. „- მიცანი? - ჰკითხა მესხმა. - კი, ბატონო!“ (იოსელიანი, 1972: 481).
6. „- ჰო, მე ვარ! - უპასუხა ისე, როგორც თავის თავს ეტყვიან, როგორც შენგან მახილს გაეხმაურებიან“ (იოსელიანი, 1972: 246).

ბ) ქვემოთ ჩამოთვლილ წინადადებებში მიგებითი ნაწილაკი გვიჩვენებს დიალოგის მონაწილეებს შორის თანხმობას. მაგალითად:

1. „- მივწერე, მაგრამ რა იცის, აქ ერთი რომ გადაბრუნდე, მერე სულ თბილად იქნები... - ჰო, მერე აღარ შეგცივდება“ (იოსელიანი, 1972: 179).
2. „- ჰო, ჰო! - უკანმოუხედავად დავეთანხმე და გოჩას ჰიმკართან გავჩნდი“ (იოსელიანი, 1965: 447).

1. „ახალმოსულმა იქაურობას თვალი მოავლო, მხრები აიწურა, აქ კაციშვილს რა უნდოდაო და თქვა:- **ჰოდა**, აქ იქნება“ (ოსელიანი, 1972: 195).
2. „- ავიდეთ, - თავი გადააქნია ჰანსმა, - მაგრამ შეიძლება იქაც გამოგვეკეტონ. - **ჰო**, შეიძლება, სამაგიეროდ მიუვალ სიმაგრეში ვიქნებით და ახლოს ვერავინ მოგვეკარება“ (ოსელიანი, 1972: 210).
3. „- ერთი გადააგდე, დანიელ! - **ჰო**, ერთს გადავაგდე, ერთი რად გვინდა“ (ოსელიანი, 1972: 275).
4. „- ჩვენთან? - **ჰო**, იმ ქუჩაზე, სადაც შენ და დედაშენი ცხოვრობთ“ (ოსელიანი, 1972: 255).
5. „სახეში ჩახედა ქალიშვილს და უფრო თავშეკავებით დაუმატა. - **ჰო**, მაგის სათქმელს თვალეზი ამბობენ“ (ოსელიანი, 1972: 377).
6. „- **ჰო**, ჯიბო ვარ, - მერე უცებ გამახსენდა, რომ მე აქ არავინ მიცნობდა და ფეხზე წამოვხტი, - **ჰო**, ჯიბო ვარ, შენ...“ (ოსელიანი, 1965: 160).

მ. შერაზადიშვილის მოსაზრებით, მიგებითი ნაწილაკი „**ჰო** შეიძლება გართულდეს და ნაწილაკით და მივიღოთ **ჰოდა** ნაწილაკ - მორფემოიდი, რომელიც იხმარება შეწყვეტილი თხრობის გაგრძელებისას“ (შერაზადიშვილი, 2013: 50). ასეთი ნაწილაკ-მორფემოიდიც გვხვდება ოტია ოსელიანის შემოქმედებაში. მაგალითად:

1. „- **ჰოდა**, დედაჩემს, ალბათ, გაეღვიძა და დარდობს: ვაითუ ჩემს ბიჭს საბანი გადაძვრაო“ (ოსელიანი, 1972: 178).
2. „- ჩადგება ჭკუაში, ახალგაზრდა კაცია. - **ჰოდა**, როცა ჩადგება, თუ ენდომება, ითხოვს“ (ოსელიანი, 1972: 364).
3. „**ჰოდა**, ხომ უნდა შევხვდეთ ერთმანეთს?“ (ოსელიანი, 1981: 18).
4. „**ჰოდა**, ქართველო, ახლა ეს გოგო (მარიხზე.) გვიდღეგრძელე“ (ოსელიანი, V, 2011: 99).
5. „**ჰოდა**, მინდა გიამბოთ მშვენიერ გუცაზე, სვან გოგონა თაჯიზე და ბიჭების: თუთარის, ვახოს და გუას შურისძიებასა და გამბედაობაზე...“ (ოსელიანი, 1972: 163).

მწერლის შემოქმედებაში აგრეთვე გვხვდება უარყოფითი ნაწილაკების გამოყენების შემთხვევები. ისინი, როგორც დადასტურებითი ნაწილაკების გამოყენების შემთხვევაში, გამოხატავს სხვადასხვა მნიშვნელობას. მაგალითად:

ა) აღნიშნულ წინადადებებში უარყოფითი ნაწილაკი გამოხატავს უარყოფით პასუხს დასმულ კითხაზე. მაგალითად:

1. „- შენ გინდა, რომ იცოდეს? - არა, ჰანს, არაფრით არ მინდა“ (ოსელიანი, 1972: 247).
2. „- ხო იცი, რო დაგაგვიანდეს, უნდა გეძებო? - არა, არ მეძებო, დედაჩემო, მე ისედაც მალე მოვალ“ (ოსელიანი, 1972: 22).
3. „- აბა, დღე გეცლება? - არა, არ მეცლება“ (ოსელიანი, 1972: 79).
4. „- აჰ, არ იცი? - არა, ზეციერო“ (ოსელიანი, 1972: 245).
5. „- რა საქმეა, არ ითქმება, შე უწმინდურო?! - არა, არ ითქმება!“ (ოსელიანი, 1972: 142).

ბ) ჩვენ მიერ მოძიებულ ზოგიერთ წინადადებაში უარყოფითი ნაწილაკი გვიჩვენებს, რომ დიალოგის ერთ - ერთი მონაწილე არ ეთანხმება თანამოუბრის მიერ გამოთქმულ აზრს. მაგალითად:

1. „- რატომ მოკალით?! - არა, თაჯი, ე, უპატრონო, არა! - ახლა ვახომ გაასავსავა ხელები“ (ოსელიანი, 1972: 280).
2. „- თავქარიანი სულელი ხარ... - არა ვარ, გოჩა, სულელი, თუ შენ არ მომეხმარე, ხვალ კლიმენტია ღვინიას წაიყვანს“ (ოსელიანი, 1972: 33).

ოტია ოსელიანის შემოქმედებაში, განსაკუთრებით რომანებში, ყველაზე ხშირად გვხვდება შემდეგი მიგებითი ნაწილაკები: **ჰო, ჰოდა, კი, კაი, კარგი, არა**. მაგალითად:

1. „- **ჰო**, - ვბუტბუტებ მე ბურანში და გვერდს ვიცვლი“ (ოსელიანი, 1965: 23).
2. „- ვიყავი, **კი**, - თავის დაქნევით თქვა მან“ (ოსელიანი, 1965: 28).
3. „- **კი**, დეიდა, კი, წყალი მართლა ღვინოს მირჩევნია...“ (ოსელიანი, 1965: 107).
4. „- **ჰო**, შენ მოწყენილი ხარ და იხედები ფანჯარაში...“ (ოსელიანი, 1965: 146).
5. „**კი**, წესი და კანონი უნდა იყოს...“ (ოსელიანი, 1965: 158).
6. „**ჰოდა**, ის ფარანი მაინც აანთე, თორემ უკვე ბნელა“ (ო. ოსელიანი, 1965: 185).

7. „- **ჰო**, მართლა, წყალი! - თქვა თაჯიმ და თვალით ვილაცას დაუწყო ძებნა“ (ოსელიანი, 1972: 315).
8. „- **კაი, კაი**, მამაჩემო, რა გჭირს ვითომ?!“ (ოსელიანი, 1972: 336).
9. „**ჰოდა**, მე კიდევ შენი იმედის ციხესა ვაშენებ და ნუ მინგრევ-მეთქი, ადამიანო!“ (ოსელიანი, V, 2011: 110).
10. „**კი**, აპა, ლუკმას ეს გვაჭმევდა და გვაპურებდა“ (ოსელიანი, V, 2011: 279).
11. „**არა**, ჭკუითა და მოხერხებით უნდა გაჯობო“ (ოსელიანი, 1981: 12).
12. „**არა**, ვინ უნდა იყოს- მეთქი - ისევ ვკითხე ჩემს თავს...“ (ოსელიანი, 1965: 119).
13. „- **არა**, ერთ ღამეს თუნდაც სულ არ დავიძინებ“ (ოსელიანი, 1965: 466).
14. „- **ჰო**, მე ვარ! - უპასუხა და ზედაც არ შეხედა“ (ოსელიანი, 1972: 468).
15. „- **ჰოდა**, ახლა როგორც უნდა ისე იცხოვრებს“ (ოსელიანი, 1972: 527).

ამდენად, ოტია ოსელიანის შემოქმედებაში მიგებითი ნაწილაკები მრავალფეროვანია. გვხვდება როგორც დადასტურებითი, ასევე უარყოფითი მიგებითი ნაწილაკები. ისინი უფრო მეტად გამოიყენება დიალოგურ მეტყველებაში. ავტორის მეტყველებაში არ გვხვდება, დამახასიათებელია პერსონაჟის მეტყველებისთვის. ყველაზე ხშირად გვხვდება შემდეგი მიგებითი ნაწილაკები: **ჰო, ჰოდა, კი, კაი, კარგი, არა.**

დასკვნა

1. ოტია იოსელიანის შთამბეჭდავი შემოქმედებისადმი ინტერესი ყოველთვის დიდი იყო და იპყობდა ენათმეცნიერთა ყურადღებას. თუმცა, მწერლის ენა და სტილი სრულად და ამომწურავად ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი. ამიტომ, ვფიქრობთ, რომ ჩვენი სამაგისტრო ნაშრომი, „განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები ოტია იოსელიანის შემოქმედებაში,“ მნიშვნელოვანია. მას შეუძლია მცირე წვლილი შეიტანოს მწერლის შემოქმედების კვლევაში და დაეხმაროს მწერლის ენის შესწავლით დაინტერესებულ პირებს. კვლევამ მოგვცა საინტერესო დასკვნების გაკეთების საშუალება.
2. აღწერითი მეთოდის საშუალებით მოვიძიეთ საჭირო საილუსტრაციო მაგალითები ოტია იოსელიანის შემოქმედებიდან. განვიხილეთ მწერლის რომანები, მოთხრობები, ნოველები, პიესები, საბავშვო ნაწარმოებები მათში გამოყენებული განკერძოებული სიტყვები რაგვარობის მიხედვით. შედარებითი მეთოდის გამოყენებით პერსონაჟისა და ავტორის მეტყველება შევუდარეთ ერთმანეთს, თუ სად გვხვდება ყველაზე ხშირად განკერძოებული სიტყვები.
3. ოტია იოსელიანის შემოქმედებაში **განკერძოებული განსაზღვრების** საკამოდ მრავალფეროვანი მაგალითები დასტურდება. განკერძოებული განსაზღვრება ძირითადად საზღვრულის შემდეგაა; ასევე, გვხვდება მაგალითები, სადაც ერთ საზღვრულთან ხშირად რამდენიმე ერთგვარი განკერძოებული განსაზღვრებაა, რომლებიც შეერთებულია როგორც კავშირით (**გაუბედავი და მორცხვი; ხელებგაწვდილნი და აღტაცებულნი**), ისე უკავშიროდ (**ყიჟმატი, ნაცრისფერი, უსულგულო; ღრმა, გააზრებული, გამიზნული**). განკერძოებული განსაზღვრება მეტწილად გადმოცემულია მიმღეობითა და ზედსართავი სახელით; უმეტესად ახლავს ქვემდებარესა და შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილს. გადმოცემულია სახელობითა და წოდებით ბრუნვებში. განკერძოებული განსაზღვრება გვხვდება, როგორც მწერლის, ასევე პერსონაჟის მეტყველებაში. მწერლის მეტყველებაში ყველაზე ხშირად გვხვდება ავტობიოგრაფიულ ნოველებსა და მოთხრობებში „მუხლზე დაწერილი ბარათები“, სადაც ავტორი

პირველი პირით გვესაუბრება. ოტია იოსელიანის შემოქმედებაში განკერძოებული განსაზღვრების გამოყენების მიზანია: შეამოკლოს წინადადება და სათქმელი გახადოს უფრო სხარტი და შთამბეჭდავი.

4. მწერლის შემოქმედებაში გვხვდება ადგილის, დროისა და ვითარების გარემოების განკერძოება. წინადადებაში ხშირია ერთზე მეტი ადგილის გარემოების განკერძოება, რითაც მწერალი აზუსტებს სათქმელს და უფრო ნათლად წარმოსახავს საგანს. განკერძოებული ადგილის გარემოება ხშირად მოსდევს დასაზუსტებელ ადგილის გარემოებას, ზოგჯერ კი გათიშულია მისგან. მწერლის შემოქმედებაში განკერძოებული ადგილის გარემოება და წინა გარემოება ერთი და იმავე ან სხვადასხვა მეტყველების ნაწილით არის გადმოცემული.
5. დროის გარემოების განკერძოება ოტია იოსელიანის შემოქმედებაში უფრო იშვიათად გვხვდება, ვიდრე ადგილის გარემოება. გამოიყოფა, განკერძოებული ცალკეული დროის გარემოება, ასევე, განკერძოებული დროის გარემოება, რომელიც აზუსტებს და განმარტავს წინა დროის გარემოებას. მისი მიზანია დააზუსტოს დრო.
6. ვითარების გარემოების განკერძოება დასტურდება მწერლის შემოქმედებაში. გვხვდება: ერთი ან რამდენიმე ერთგვარი ვითარების გარემოება, რომელიც განკერძოებულია შემასმენლისაგან; განკერძოებული ვითარების გარემოება, რომელიც აზუსტებს და ავსებს წინა ვითარების გარემოებას. გარემოების განკერძოების სამივე სახე (ადგილის, დროის, ვითარების) დასტურდება როგორც პერსონაჟის, ასევე, ავტორის მეტყველებაში. მათი სტილისტიკური ფუნქციაა დააზუსტოს წინა გარემოება; უფრო ცხადი გახადოს წინადადება და მკითხველისთვის სათქმელი იყოს ადვილად გასაგები და შთამბეჭდავი. დასტურდება განკერძოებული გარემოების დიალექტური ფორმებიც (ჩალის ჩერგელასავით, ნამალავად და ნაცხადურად, ყოველ წლის ოდენა ღამე, თვალმიუწევზე, გასათავარში, შეფენებაზე, დაზვინული ღრუბლების ზემოთ, ჭყუტა მსხლის მიღმა, დაბუქულ შამბსა და ეკალ-ბარდების მიღმა). ჩვენ მიერ მოძიებულ მაგალითებში არ დასტურდება განკერძოებული მიზნისა და მიზეზის გარემოება.

7. მწერლის შემოქმედებაში **დანართი** ახლავს: შემასმენელს, ქვემდებარეს, დამატებებს, განსაზღვრებას, გარემოებას. გადმოცემულია არსებითი სახელით. ასევე, დასტურდება გარდა თანდებულებით ნათესაობით ბრუნვაში მართული სახელები, რომელთაც **უბრალო დამატების** მნიშვნელობა აქვს. გარდა თანდებულებით მართული სახელებია: **(ორიოდე ბებერი ჯიხვის გარდა, გარდა სიცოცხლისა)**. დანართი გადმოცემულია სახელობითი **(კალმით ნახატი ექიმი გოგო)**, მოთხრობითი **(ჯიხვმა)**, მიცემითი **(ადამიანებს)** და ნათესაობითი **(ტყვეების გარდა)** ბრუნვის ფორმით. დასტურდება დიალექტური ფორმა **(ჯგერაგს - წმინდა გიორგის)**. დანართი გვხვდება, როგორც ავტორის, ისე პერსონაჟის მეტყველებაში. ავტორი მათ იყენებს იმისათვის, რომ წინადადებას მიანიჭოს მეტი ემოცია, ექსპრესია. მკითხველისთვის სათქმელი გახადოს უფრო შთამბეჭდავი.
8. **მიმართვა** ძალიან საინტერესო ასპექტებით ჩნდება ოტია იოსელიანის შემოქმედებაში. მიმართვა, უმეტესად, გვხვდება დიალოგში. მისი სემანტიკა საკმაოდ მრავალფეროვანია. ის გვხვდება წინადადების თავში, ბოლოში ან შუაში. მიმართვის ფორმად გამოყენებულია II პირის ნაცვალსახელებიც, რომელთაც არსებითი სახელის ფუნქცია აქვს და დიალექტური ფორმითაა წარმოდგენილი. მაგ.: **შე კაცო, შე უღმერთო**. მიმართვა გვხვდება, როგორც კითხვითსა და ბრძანებით წინადადებაში, ასევე, თხრობითსა და კითხვა-მახილის წინადადებაში. თხრობით წინადადებაში მიმართვის ფორმები ზოგჯერ მეორდება, რასაც თავისი დატვირთვა აქვს. მისი მიზანია, ემოციის გაძლიერება და მეტი ექსპრესიის ჩვენება. წინადადებაში, რომელიც მიმართვას შეიცავს, გვხვდება დიალექტური მასალა; საკუთარი სახელით გადმოცემული მიმართვა ზოგჯერ იმ ფორმითაა წარმოდგენილი, რომელიც არ არის მიღებული სალიტერატურო ქართულისთვის და, რაც, მხოლოდ იმერულ დიალექტში იკვეთება. მაგალითად: **ძამია, ეზუკი ბიძიე, ბუხუტია**. მწერლის შემოქმედებაში მიმართვის დიალექტური ფორმები **(შე თვალდავსებულო, შე ენა გასაციებელო, შე დენიკინის დროინდელი)** იმ დიალოგში გვხვდება, რომლის მონაწილეებსაც აქვთ შინაურული, ახლო, მეგობრული, დიდი ხნის ნაცნობრული ურთიერთობა.

მწერალი მიმართვის დიალექტურ ფორმებს სწორედ ამ ურთიერთობისა და იმერული კოლორიტის შესაქმნელად იყენებს.

9. **ჩართული** სიტყვები ოტია იოსელიანის შემოქმედებაში ფუნქციისა და მნიშვნელობის მიხედვით მრავალფეროვანია. გვხვდება როგორც დადასტურებითი, ასევე უარყოფითი ნაწილაკები. დასტურდება ზოგიერთი წინადადება, სადაც დანართთან არ არის დასმული სასვენი ნიშანი. ეს მიგვანიშნებს მწერლის სამწერლობო სტილზე. ჩართული სიტყვები შედარებით იშვიათია დრამატულ თხულებებში. აქ გამიჯნულია ავტორისა და პერსონაჟის მეტყველება. ისინი, უმეტესად, გვხვდება პერსონაჟის მეტყველებაში. ჩართულის საშუალებით ჩვენ, მკითხველი, ვიგებთ პერსონაჟის დამოკიდებულებას საგნებისა და მოვლენების მიმართ.
10. ოტია იოსელიანის შემოქმედებაში **შორისდებული** მრავალფეროვანია. მისი საშუალებით მწერალი გვამცნობს პერსონაჟის სულიერ სამყაროს, რას გრძნობს და რას განიცდის. ამიტომ, მათ საგანგებოდ არჩევს. ჩვენ მიერ მოძიებულ მაგალითებში გვხვდება: სიხარულის, მწუხარების, დარდის, წყენის, ნაღველის, გაკვირვების, გაოცების, გაჯავრების, შეცოდების, შებრალების გამომხატველი შორისდებულები.
11. ოტია იოსელიანის შემოქმედებაში გამოიყოფა დადასტურებითი და უარყოფითი **მიგებითი ნაწილაკები**. ისინი უფრო მეტად გამოიყენება დიალოგურ მეტყველებაში, რომელიც წარმოადგენს მოსაუბრეთა შორის საპასუხო ან კითხვის მომცველ რეპლიკას. ავტორის მეტყველებაში არ გვხვდება, დამახასიათებელია პერსონაჟის მეტყველებისთვის. მწერალი ყველაზე ხშირად იყენებს შემდეგ მიგებით ნაწილაკებს: **ჰო, ჰოდა, კი, კაი, კარგი, არა**.
12. მწერალი იშვიათად ერევა ისტორიული რომანების („ვარსკვლავთცვენა“, „ტყვეთატყვე“) პერსონაჟთა მეტყველებაში. მის ერთ-ერთ რომანს - „ვარსკვლავთცვენა“ - ასეთი სიტყვები აქვს წამმდგარებული: „ჩემო ვიქტორ პეტროვიჩ! შენ ჩემთან პირად საუბარში, სხვათა შორის, გითქვამს: თქვენ - ქართველებს ომი არ გინახავთო. შეიძლება... არ გვინახავს - მეთქი. თქვენ, ალბათ, გერმანული თვითმფრინავიც არ დაგინახავთო. მე პირადად არა-მეთქი...“ (ო.

იოსელიანი, 1972: 7). თუმცა კვითხულობით რომანებს და გაოცებული ვრჩებით, ისე შესანიშნავადაა აღწერილი „ომის უნახავი“ ადამიანის თვალით დანახული ომის დროინდელი ყოფა; რა გავლენა მოახდინა ომმა ადამიანის პიროვნებაზე და როგორ შეცვალა ხალხის ცხოვრება. რომანში იგრძნობა სევდა, ტკივილი... ამ ემოციის გადმოსაცემად კი მწერალი შესანიშნავად იყენებს განკერძოებულ სიტყვებსა და გამოთქმებს (განსაზღვრებას, გარემოებას, დანართს, ჩართულს...).

13. ოტია იოსელიანის **საბავშვო ნაწარმოებებში** („ცხრა მთას იქით“, „კარის მეზობლები“, „ბუტიაობა“, „პირველი მერცხალი“, „თოლია“...) განკერძოებული სიტყვები ისე ხშირად არ გვხვდება, როგორც რომანებში. მწერალი საბავშვო მოთხრობებს წერს ბავშვებისთვის გასაგები ენით და აგებს მარტივ წინადადებებს. აქ, განკერძოებულ სიტყვებთან, ყველაზე ხშირად, გვხვდება: შორისდებული, მიმართვა და მიგებითი ნაწილაკები. ხოლო კრებულში, „მუხლზე დაწერილი ბარათები“, წინადადებასთან გრამატიკულად დაუკავშირებელ სიტყვებთან ერთად დასტურდება განსაზღვრებისა და გარემოების განკერძოების, დანართის შემთხვევებიც.
14. ოტია იოსელიანის ნაწარმოებებში გამოიყოფა **პერსონაჟისა და ავტორის** მეტყველება. ორივე მეტყველებისთვისაა დამახასიათებელი განკერძოებულ სიტყვათა მრავალფეროვნება. აღნიშნული სიტყვები გვხვდება, როგორც მწერლის (განსაკუთრებით ავტობიოგრაფიულ ნოველებში), ასევე პერსონაჟის მეტყველებაში. უმეტესად კი - პერსონაჟის მეტყველებაში; ეს იმიტომ, რომ მწერალმა უკეთ წარმოუჩინოს მკითხველს თავისი გმირი. მწერალი განკერძოებულ სიტყვებსა და გამოთქმებს იყენებს დიალოგში, პერსონაჟთა მეტყველებაში ადგილობრივი კოლორიტის შესაქმნელად.
15. ჩვენი სამაგისტრო ნაშრომის მიზნის შესაბამისად, მოვიპოვეთ და, შემდგომისდაგვარად გავაანალიზეთ ოტია იოსელიანის შემოქმედებიდან განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები. დავადგინეთ რამდენად ხშირად გვხვდება მსგავსი ტიპის სიტყვები მწერლის შემოქმედებაში, რა ფუნქცია აკისრიათ წინადადებაში და რა მიზნით იყენებს მათ მწერალი. აქედან გამომდინარე გავარკვიეთ, რომ განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები

გავლენას ახდენს მწერლის სამწერლო სტილზე. კერძოდ, როგორც ჩვენს ნაშრომში აღვნიშნეთ, ზოგიერთ განკერძოებულ სიტყვასთან სასვენიზაცია არ იყენებს; ასევე, გვხვდება განკერძოებული სიტყვები დიალექტური ფორმითაც, რაც მიგვანიშნებს იმ ფაქტზე, რომ მწერალს სურს იმერული დიალექტის სურნელება შემოიტანოს თავის ნაწარმოებებში. მწერლის შემოქმედების გაცნობის დროს და განკერძოებული სიტყვებისა და გამოთქმების მოძიებისას, გავარკვიეთ, რომ ამ ტიპის სიტყვები იმ წინადადებებში უფრო გვხვდება, რომლის მთქმელიც პერსონაჟია. ოტია იოსელიანის შემოქმედებიდან აღვნიშნეთ ის წინადადებები, რომელშიც გვხვდება განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები და შევეცადეთ საინტერესოდ განგვეხილა. ვფიქრობთ, რომ აღნიშნული ნაშრომი დაეხმარება იმ პირებს, ვინც დაინტერესებულია ოტია იოსელიანის ენისა და სტილის საკითხის შესწავლით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. არაბული, 1983 - არაბული ა., შენიშვნები სალიტერატურო ენის მოთხოვნათა ზოგი დარღვევის გამო: ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მეხუთე, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1983.
2. გაჩეჩილაძე, 1990 - გაჩეჩილაძე ო., ქართული ენა, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1990.
3. გოგოლაშვილი, 2019 - გოგოლაშვილი გ., შენებით სავსე ქართული (ფიქრები დავით კლდიაშვილზე), I, თსუ სტამბა, თბილისი, 2019.
4. ზვიადაძე, 2009 - ზვიადაძე თ., მწერლის ენის საკითხები, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2009.
5. იოსელიანი, 1965 - იოსელიანი ო., ნოველები, ვარსკვლავთცვენა, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი 1965.
6. იოსელიანი, 1971 - იოსელიანი ო., ცხრა მთას იქით, მოთხრობები, გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი, 1971.
7. იოსელიანი, 1972 - იოსელიანი ო., სამი რომანი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1972.
8. იოსელიანი, 1979 - იოსელიანი ო., შავი და ცისფერი მდინარე, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, ქუთაისის ფილიალი, 1979.
9. იოსელიანი, 1981 - იოსელიანი ო., ახალი ნოველები, გამომცემლობა „მერანი“, თბილისი, 1981.
10. იოსელიანი, 1982 - იოსელიანი ო., ორი რომანი, პიესები, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1982.
11. იოსელიანი, 1989 - იოსელიანი ო., რჩეული თხზულებანი ორ ტომად, ტომი I, საით გავიქეცი და სად წავიქეცი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1989.
12. იოსელიანი, 2006 - იოსელიანი ო., ზოგი რამ სიბრძნისა, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, თბილისი, 2006.

13. იოსელიანი, III, 2011 - იოსელიანი ო., ქალი გამოვიდა საღალატოდ, რომანი, მოთხრობები, ტომი III, გამომცემლობა „პალიტრა L“, თბილისი, 2011.
14. იოსელიანი, IV, 2011 - იოსელიანი ო., მუხლზე დაწერილი ბარათები, ტომი IV, გამომცემლობა „პალიტრა L“, თბილისი 2011.
15. იოსელიანი, V, 2011 - იოსელიანი ო., სანამ ურემი გადაბრუნდება, პიესები, ტომი V, გამომცემლობა „პალიტრა L“, თბილისი, 2011.
16. კეკელია, დავითიანი, 1981 - კეკელია შ., დავითიანი აკ., ქართული ენა, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1981.
17. კვარაცხელია, 1990 - კვარაცხელია გ., ქართული ენის ფუნქციური სტილისტიკა, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1990.
18. კვაჭაძე, 1988 - კვაჭაძე ლ., თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1988.
19. კიზირია, 1974 - კიზირია ა., ქართული ენა, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1974.
20. კიკნაძე, 1989 - კიკნაძე ი., ავტორისეული მეტყველების ზოგი საკითხი ქართულ დრამატურგიაში (XIX ს-ის შუა წლები): ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მეცხრე, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1989.
21. კოშორიძე, 1981 - კოშორიძე ე., რ. ინანიშვილის ენის ზოგი თავისებურება: ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მეოთხე, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1981.
22. კოშორიძე, 2005 - კოშორიძე ე., მწერლის ენისა და სტილის საკითხები, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2005.
23. ლეჟავა, 1970 - ლეჟავა ლ., დავით კლდიაშვილის სტილის შესწავლისათვის: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XVII, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1970.
24. მიქაძე, 2015 - მიქაძე მ., დიალექტიზმების ადგილისათვის ოტია იოსელიანის თხზულებათა ენაში: XXXV რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2015.

25. ფეიქრიშვილი, 1996 - ფეიქრიშვილი ჟ., ქართული ენის სინტაქსი, ქუთაისის გ. ტაბიძის სახელობის სააქციო საზოგადოება „სტამბის“ საგამომცემლო ცენტრი, ქუთაისი, 1996.
26. შალამბერიძე, 1966 - შალამბერიძე გ., ილია ჭავჭავაძის ენა, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1966.
27. შანიძე, 1973 - შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, ტომი I, მორფოლოგია, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1973.
28. შერაზადიშვილი, 2013 - შერაზადიშვილი მ., ნაწილაკის საკომუნიკაციო ფუნქციისათვის ქართულში, გამომცემლობა „საარი“, 2013.
29. ცქიტიშვილი, 1981 - ცქიტიშვილი ნ., განკერძოებული განსაზღვრების ერთი სტილისტიკური ფუნქციისათვის: ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მეოთხე, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1981.
30. ცქიტიშვილი, 1983 - ცქიტიშვილი ნ., დანართის ძირითადი სტილისტიკური ფუნქციები და მართლწერასთან დაკავშირებული ზოგი საკითხი: ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მეხუთე, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1983.
31. ცქიტიშვილი, 1988 - ცქიტიშვილი ნ., ჩართული: ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მერვე, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1988.
32. ცქიტიშვილი, 1989 - ცქიტიშვილი ნ., ჩართულთა ხმარება ილიას პუბლიცისტურ ნაწერებში, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მეცხრე, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1989.
33. ძიძიგური, 1957 - ძიძიგური შ., მწერლის ენა, გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“, თბილისი, 1957.
34. ჯორბენაძე, 1983 - ჯორბენაძე ბ., მხატვრული ტექსტის ენობრივი ანალიზის ზოგიერთი საკითხისათვის: ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მეხუთე, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1983.